






ევროკავშირი  
საქართველოსთვის

Project funded by the European Union

# „თილო 2021“



EEC-სსს urakparaki.com



თბილისი  
2021



გამომცემელი

ბოჩა ღვინიაშვილი

წიგნი მომზადდა  
და დაკაბდონდა



პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით.  
მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია  
ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო  
([www.eecgeo.org](http://www.eecgeo.org)) და შესაძლოა, რომ იგი არ  
გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

პუბლიკაცია გამოიცა ევროკავშირისა და თელავის  
მუნიციპალიტეტის მიერ თანადაფინანსებული  
პროექტი: „ბიომასის ენერგია და ენერგოეფექტური  
ტექნოლოგიები, როგორც მდგრადი ენერგეტიკული  
გადაწყვეტილებები მერების შეთანხმების  
ხელმძღვრეობის“ ფარგლებში.

ISBN 978-9941-8-4131-6

## წინასიტყვაობა

„ლილე<sup>1</sup> –და ღიფება შენდა!  
სინათლის დედავ, ნუ ჩახვალ დარჩი!“

ო, თეთრო მზეო, დიდება შენდა!  
შენ ხარ იმედი პირმშოთა შენთა!  
სინათლის დედავ, ნუ ჩახვალ დარჩი!  
მსხვერპლად შეგწიროთ ჯიხვი და არჩვი  
სამთის ფერხულით გაგიძღვეთ წინ და  
ფიქალის კოშკი აგიგოთ წმინდა,  
რომ მისი მსგავსი არ იყოს არსად,  
ქორ-შევარდენი უვლიდეს გარსა,  
არწივი კრავდეს კამარას მალლა,  
შუნი და ჯიხვი წვებოდეს დაბლა!

1. „ლილე — მზე ან მზის ღვთაება სვანურ მითოლოგიაში. რაიმე ჩამოყალიბებული მითი ამ ბუნდოვან სახეზე არ შემონახულა, მაგრამ სასიმღერო ჰიმნის ფრაგმენტებიდანაც და სიმღერის ხასიათითაც აშკარაა, რომ ესაა უძველესი წარმართული ღვთაება სინათლისა, შუმერთა ენლილეს და ეგვიპტელთა რას, ბერძენთა ფებოსის მსგავსი. უფრო სავარაუდოა, რომ სვანთა ლილე შუმერთა ენლილეს შემონახული სახეა. ეს ჰიმნი ძალზე პოპულარულია საქართველოში. ფრაგმენტებიდან დამუშავებული და გადმოქართულებული ჩვენი ტექსტი სიმღერის შესატყვისია და დაახლოებით იძლევა ამ მრავალათასწლიანი ჰიმნის სიტყვიერ, ინტონაციურ, აზრობრივ სურათს“.

(წყარო: <https://ka.wikipedia.org/wiki/ლილე>)

ოქროს სასახლე გიდგას, ლილეო,  
ოქროს გალავნით თვალს გაგიხარებს.  
მთა საბუღრაოდ ეცოტავებათ  
ოქროსრქებიან შენს საღმრთო ხარებს.

იალალეზზე რომ ბუღრაოზენ,  
იდრიკებიან თეთრი ქედები.  
საღვთო ვერძებიც არყევენ ბურჯებს  
შავი საუფლო რქების კვეთებით.

ჯახი მთაგრეხილს ხერხემალს ურყევს  
და აქანავებს ცათა სწორ მურყვნებს.

ო, თეთრო მზეო!  
ჩვენდა იმედად რონინობ ცაზე,  
ათასი წელი გადიდებთ ასე:

დიდება შენდა! დიდება შენდა!  
გვარიდე სუსხი, სენი და სევდა,  
ნუ მიგვატოვებ პირმშოთა შენთა!  
იმედით სავსე,  
შენ კი ჩადიხარ...  
დიდება შენდა!”

მოგეხსენებათ ნებისმიერი სფეროს თუ დარგის მდგრადი განვითარება და მომავალი მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ დარგის მუშაკების მუდმივ პროფესიულ ზრდა-განვითარებასა და ასევე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასთან. სწორედ ამ მიზნით „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო“ ორ ათეულ წელზე მეტია ცდილობს პოპულარიზაცია გაუწიოს ე.წ. ‘მწვანე ტექნოლოგიებს’ როგორც კლიმატის ცვლილების შემარბილებელ და შეგუების ღონისძიებებს.

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში „ევროპული მდგრადი ენერგეტიკის კვირეულის“ (EUSEW) ფარგლებში, ყოველ-

წლიურად ცნობიერების ამაღლების სხვადასხვა ღონისძიების საშუალებით, საზოგადოების ისეთი ფენის წარმომადგენლების ჩართვა როგორიცაა: სტუდენტები, არქიტექტორები, ჟურნალისტები, მხატვრები, მწერლები კიდევ უფრო აჩქარებს მწვანე ენერგო ტექნოლოგიებით დაინტერესებას პროცესს.

2021 წელს კიდევ ერთხელ განახორციელა უკვე ტრადიციად ქცეული ლიტერატურულ კონკურსი - „ლილე“, სადაც მწერლებს და წერის მოყვარულებს შესაძლებლობა ჰქონდათ წარმოედგინათ თემატური ნოველები დაკავშირებული კლიმატის ცვლილების, განახლებად და ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებთან.

უღმესი მადლობა ლიტერატურულ პორტალ „ურაკპარაკს“ ამ იდეის მხარდაჭერისთვის და მადლობა და პატივისცემა „ლილე 2021“-ის კომპეტენტურ და მიუკერძოებულ ჟიურის წევრებს:

– ქალბატონი ირმა მარდალეიშვილი – ლიტერატორი, ჟურნალისტი.

– ქალბატონი ლელა ცუცქირიძე – ფილოლოგი, საბავშვო მწერალი, მხატვარ-ილუსტრატორი და ლილეს კონკურსების პრიზიორი.

– ბატონი გია არგანაშვილი – მწერალი და ლიტერატურათმცოდნე.

– ბატონი მიშა რატიანი – ჟურნალისტი.

– ბატონი გიორგი აბულაშვილი – “ენერგოეფექტურობის ცენტრი-საქართველო“-ს წარმომადგენელი

ჟიურის გადანვეტილებით ლილე 2021 კონკურსში პირველი ადგილი ერგო თამარ ბოლქვაძის მოთხრობას „სხვა კრიმანჭული“; მეორე ადგილი კონკურსების მუდმივი მონაწილის ლევან ლორიას მოთხრობას „თოვლის ბაბუა და ღვთიური ნაწილაკი, ანუ იცინის ის ვინც ბოლოს იცინის“ ერგო, ხოლო მესამე ადგილი ნათია გოგიჩაიშვილის მოთხრობას „საშობაო ზღაპარი“.

ტექსტები დაიბეჭდა უცვლელად. იმ ფორმით, როგორც ავტორებმა წარმოადგინეს საკონკურსოდ.

## ბივი კვირიკაშვილი



### ოცდახუთსა დეკემბერსა

მე გახლავართ გივი კვირიკაშვილი, პროფესიით ინჟინერი. ვარ ურაკპარაკის არც თუ ისე აქტიური წევრი, ნიკით „ტინელი“

ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული ვცხოვრობ ესპანეთში. სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე ბევრი ვიმოგზაურე ევროპის, აზიის და ლათინური ამერიკის ქვეყნებში. დამიგროვდა საინტერესო (ჩემი შეფასებით) მოგონებები, პოზიტიური ბევრი, ნეგატიურიც-არანაკლები. ვწერ ბევრს, ვამზეურებ ცოტას, ოდესმე ალბათ წიგნის სახესაც მივცემ და თუ ჩავთვლი რომ ნამდვილად დაიმსახურებს მკითხველის ყურადღებას, შესაძლოა გამოვაქვეყნო კიდევ. “

ქრისტეს შობის დღეა, დღესასწაული. ვზივარ ფანჯარასთან, გავცქერი ქუჩას, ქუჩას ცივსა და უსახურს. მობუზული ადამიანები მიმოდიან ჩქარი ნაბიჯით. ერთნი სახლისკენ, მძიმე ჩანთებით, სხვები ტაქს აჩერებენ, სტუმრად მიდიან საჩუქრით ხელში. მე არსად მიმეჩქარება, არც სახლში ველი არვის.

ოდესღაც, ჩვენთანაც მოდიოდნენ სტუმრები, ჩვენც გვქონდა სადღესასწაულო სამზადისი, იდგა ჟრიაშული, იყო მილოცვა, სიცილი, განსხვავებული სასმისები და უსაშველოდ გრძელი სადღეგრძელოები. თექვსმეტი წლის ვიყავი მშობლები რომ და-



მეხოცა და დაცარიელდა ჩვენი სახლი, აღარც სტუმარი, აღარც მასპინძელი. შობა-ახალ წელს ყველა თავის ოჯახში ატარებს, ახლობლებთან. ჰოდა, ვზივარ ასე, დაორთქლილ ფანჯარასთან, ვსვამ წყალწყალა ყავას მამისეული ფაიანსის ფინჯნიდან და გავცქერი ქუჩას.

ზოგჯერ ამხანაგები ამოდიან ლუდის დასალევად, ჯოკერის სათამაშოდ, გოგოებიც მოდიან ხოლმე, ზოგიერთი მათგანი ღამეც რჩება, ისე, ყოველგვარი ვალდებულების გარეშე, უსიყვარულოდ, უსიხარულოდ, მხოლოდ ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. დილით, ღამენათევები ყავას დალევენ ფეხდგომელა და მომავალ შეხვედრამდე, სიგარეტიან ხელს დამიქნევენ.

უფულობაზე არ ვწუწუნებ, სტიპენდია მაქვს და ზოგჯერ ნაცნობ ხელოსნებსაც ვეხმარები წვრილმან სამუშაოებზე. ერთ ხანს ალტერნატიული ენერგიის კვლევით ლაბორატორიაშიც ვმუშაობდი როგორც ვოლუნტიორი. ერთ-ერთმა პროექტმა საკონკურსო პირობები დააკმაყოფილა და რუსთაველის სამეცნიერო ფონდის სოლიდური გრანტიც დაიმსახურა. (მე, როგორც შტატგარეშე პერსონალს, მიზერული თანხა შემხვდა, მიუხედავად იმისა რომ სხვებზე ნაკლები წვლილი არ მიმიძღვოდა მის შექმნაში) მინი გენერატორის პროტოტიპი ავანყეთ, მზის ულვეი ენერგიის ხარჯზე. დაბალი მარგი ქმედების კოეფიციენტი აქვს, მაგრამ სამაგიეროდ კონსტრუქციაა მარტივი და საიმედო. სამეცნიერო წრეებში დიდი ხნის წინ აკრძალეს Perpetum Mobile-ს თემაზე მსჯელობა, მაგრამ ვერცერთი ინჟინერი ვერ უძლებს ცდუნებას, იოცნებოს მის შექმნაზე. სწორედ ეს უსაზღვრო ფანტაზია და დაუოკებელი სურვილია საფუძველი, ალტერნატიული ენერგიის წყაროების ძიებას და გამოყენებას რომ განაპირობებს. ლაბორატორიაში მუშაობა მეც ნამადგა, Perpetum Mobile ვერა, მაგრამ კომპაქტური წყლის გამაცხელებელი პანელი კი ავანყე და სახურავზე დავამონტაჟე. ღვთისგან ბოძებულ, ჩემ წილ მზის ენერგიას ვიყენებ და ზამთარ-ზაფხულ ჩემი სამყოფი თბილი წყალი მაქვს.

ახალგაზრდები ხომ დიდი ენთუზიაზმით იწყებენ, იმედი აქვთ სასწაულებს მოახდენენ. ჰგონიათ ზღვა მუხლამდეა, იქამდე, ვიდრე მინა არ გამოეცლება ფეხქვეშ. ერთი ახერხებენ ლავირებაში დაოსტატებას, ვინმეს ჩრდილქვეშ შეყუჟვას, მეორენი რქების მომტვრევამდე იბრძვიან, სხვები უბრალოდ ეგუებიან, უბრძოლველად ყრიან ფარ-ხმალს და ქარს მიჰყვებიან მონა-მორჩილად, ხმელი ფოთლების დარად. წინ თუ ჯანლია და უკან ბურუსი, უიმედობა ხრავს ადამიანს, ჯაბნის, ანადგურებს. არადა როგორი ამბიციები მქონდა სტუდენტი რომ გავხდი, საზღვარი არ ჰქონდა ჩემს სიხარულს, ოცნებებს კიდევანი.

ზოგჯერ სულ ცოტა კმარა, სრულფასოვან ადამიანად რომ იგრძნო თავი, შენი წილი სიხარული შეიგრძნო, თავი მოიტყუო რომ ბედნიერი ხარ, თუნდაც არც იყოს ასე.

უხალისოდ გარბიან დღეები, დროდადრო სადღაც ღრმად მიძინებულ იმედს ვალვიძებ, სანაპიროზე დავრბივარ სისხამ დილით, მერე თბილ შხაპს ვიღებ და სამუშაოდ ვჯდები, ვხაზავ, ვანგარიშობ, ვიზეპირებ. მე მაინც გავხდები კარგი არქიტექტორი-მეთქი, თავს ვიმიედებ. სხვა თუ არაფერი, ოდესმე საკუთარ სახლს მაინც ავიშენებ ჩემი გემოვნებით, ისეთს, მე რომ მომეწონება და კიდევ იმას, ჩემი ოცნების გოგონას, დილაობით რომ ვხედავ და ღამეც მესიზმრება, მუდამ ჩემს გვერდით რომ იქნება და ძალიან, ძალიან ვეყვარები.

ნიაკი ფანტავს თოვლის მსუბუქ ფანტელებს, ჰაერში ატრიალებს, ცდილობს სიცოცხლე გაუხანგრძლივოს ვიდრე მტვრიან ასფალტზე დაეშვებოდნენ და ერთიციცქნა სველ წერტილებად გადაიქცეოდნენ. ამას თოვაც არ ჰქვია, გზააბნეული ფიფქები დაფარფატებენ ქარის ნებაზე.

ჩემს პირდაპირ, ქუჩის გადაღმა, ლამაზი სახლი დგას, გერმანელების ხელით ნაგები, ნეო გოთური ელემენტებით და სვეტებიანი პარმალთ. იმ სახლში ერთი გოგონა ცხოვრობს, მაყვლისფერთვალება და ძალზე ლამაზი. მაისის თვიდან ვხედავ, ადრე არ ცხოვრობდა აქ. დანახვისთანავე მომეწო-

ნა, ელემენტული მემართება მის დანახვაზე. ტანადი გოგოა, ყელმოღერებული და ამაყი. დილით ადრე ვდგები, ვჯდები ფანჯარასთან და მის გამოსვლას ველოდები. ზუსტად ცხრის ოც წუთზე იღება სადარბაზოს კარი და გამოდის მხარზე ჩანთა გადაკიდებული. ჩვევა აქვს, ჯერ ცას ახედავს, მერე ღრმად შეისუნთქავს ჰაერს და გამართული ნაბიჯით მიდის ავტობუსის გაჩერებისკენ.

ზაფხულის ერთ დღეს, პატარა სარკე მოვიმარჯვე და მზის ათინათი მივმართე მისკენ. თვალებზე აიფარა ხელი, ამომხედა და გაბრაზებულმა დაარტყა ფეხი ასფალტს, გულმოსული ბავშვით, თოჯინა რომ არ უყიდეს.

ეხლა მზის სხივები ველარ აღწევნენ ჩემს ფანჯრამდე, არც მისი გაბრაზების პერსპექტივა მხიბლავს მაინცდამაინც. ზოგჯერ, თვალს გამოაპარებს ხოლმე, უკვირს ალბათ, იდიოტივით რომ ვარ ატუზული მუდამ, საღებავაქერცლილ ფანჯარასთან. რამდენჯერ გადავწყვიტე, ჩავალ, წინ დავხვდები და გამოველაპარაკები-მეთქი, მაგრამ როგორ?

– გამარჯობა, მომწონხართ და თქვენი გაცნობა მინდა!  
– ასე უტიფრად, აბრაგვივით გადავუდგე წინ? დამცინავად ამხედ-დამხედავს, – იდიოტო, – ჩაიბურტყუნებს და ზურგს შემატყვევს. ჰოდა, გაზაფხულს აქეთ, ყოველ დილით, ავეყუდები ფანჯარას და ბრიყვის მოთმინებით ველოდები მის გამოჩენას.

გუშინ დეზერტირების ბაზარში ვიყავი. დღესასწაული ჩემთვისაც ხოა, ვიფიქრე რამე განსაკუთრებულს ვიყიდი-მეთქი საშობაო სადილისთვის.

ბაზარში აუარება ხალხი ირეოდა. დახლებს გავუყევი და, – ჰოი საოცრებაჲ! – ის არ დგას ჩემგან ოთხიოდე ნაბიჯზე? – ენად გაკრეფილ მეგრულ დედაკაცს უღიმის და ჯანსაღ ფორთოხლებს არჩევს სათითაოდ.

ელდანაკრავივით გავშეშდი, უკან დავიხიე და ვილაცის ფართო ზურგს ამოვეფარე. საჩქაროდ გადავქექე ჩემი სიტყვების მარაგი, საუბრის წამოსაწყებად წინადადებები შევადგინე. მოზრდილი პარკი ნახევრამდე გაავსო, ფული გადაუხადა და

რომ შემოტრიალდა, სწორედ მაშინ წამოვეწიე და გვერდით ამოვუდექი.

– შობას გილოცავთ, პრინცესა! – ნებას მომცემთ მოგეხმაროთ?

გაოცებულმა შემომხედა, მერე მწიფე ჟოლოსფერი ტუჩები გაუპო ღიმილმა და,

– თქვენ აქ საიდან?

დაბალი ხმა ჰქონდა, ხავერდოვანი და ძალზე თბილი. მომეჩვენა, გაეხარდა კიდეც ჩემი დანახვა.

– ისე, შემთხვევით, დავინტერესდი როგორ მიდის წელს საშობაო ვაჭრობა.

ხუმრობა ვცადე უგერგილოდ. ჩანთა ჩამოვართვი და თავისუფალი ხელით ნიკაპი მოვისრისე. ჩემი სიტყვების მარაგი არ აღმოჩნდა საკმარისი ენაწყლიანი საუბრისთვის.

– სახლში მიდიხართ? – გვერდულად გამომხედა.

– ჰო, გაგაცილებთ თუ ნებას დამრთავთ.

– პირიქით, მაღლობელიც დაგრჩებით თუ მომეხმარებით.

დავდუმდით ორივე, არაფრით აღარ აენყო საუბარი. მჭერმეტყველებას ნამდვილად ვერ დავიკვებხნი, მაგრამ მის სიახლოვეს სწორედ რომ ენაბლუ გავხდით, ისე გავიარეთ მთელი ტელმანის ქუჩა, ამინდის შესახებაც კი ვერ მოვახერხე უწყინარი კომენტარის გაკეთება. მის სადარბაზოს მივადექით. ჩანთა ჩამომართვა და ხელი გამომიწოდა, თეატრალურად, ზემოდან ქვემოთ. გათოშილ ხელისგულებში მოვიქციე მისი მაჯაში მოხრილი, ძირს დაშვებული ხელის მტევანი. თამბაქოს ფოთლის ფერი ტყავის ხელთათმანების გავლით შევიგრძენი ნაზი თითების სითბო და სასიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა.

– გმადლობთ, მე ანი მქვია.

– დემეტრე, დემის მეძახიან.

– მე ვიცი შენი სახელი, გვარიც ვიცი და სხვა რამეც. – ეშმაკური ღიმილი გაკრთა ისევ ჟოლოს ტუჩებზე.

– ეეე, ეს როგორ?

– ჩვენ ხომ მეზობლები ვართ, მე რამდენიმე შენს ნაცნობსაც

ვიცნობ. სურვილი რომ გაგჩენოდა, არც შენ გაგიჭირდებოდა ჩემი სახელის დადგენა.

გულიანად გაიცინა და კარს უკან გაუჩინარდა.

სიზმარში მეგონა თავი, უფრო სიმპათიური და სანატრელი აღმოჩნდა, ვიდრე ჩემს ფანტაზიებში წარმომედგინა. ასე უცებ, ასე იოლად მოხდა ჩვენი გაცნობა. არადა საკუთარ თავზე ვბრაზობდი, ბოთესავით რომ დამებორკა ენა და მთელი გზა ვერაფრის თქმა ვერ მოვახერხე.

მუხრუჭებმა დაიწრიპინეს. მოვტრიალდი. დიდი ლენდ კრუიზერი იყო, შავი ფერის, მინებაბურთული, რვა ცილინდრიანი ძრავით. აქ ვილაც ჩინოვნიკი ცხოვრობს, ან რომ გადის სახლიდან, ოცი ოცდაათი წუთის მერე ჩამოდგება ხოლმე სადარბაზო შესასვლელთან და შეფს ელოდება. მანქანას უკანიდან შემოვუარე და სახლისკენ გავემართე, თვალწინ ისევ ანის სახე მედგა, მისი ეშმაკური, თბილი და მიმზიდველი ღიმილი.

სახლიდან რა დროს გამოდის ვიცი, რა მიმართულებით წავა, ისიც. საწინააღმდეგო მხრიდან მომავალი გადავეყრები „შემთხვევით“, აღარ დამჭირდება უაზრო, ბანალური ფრაზები, ასეთ დროს რომ ხმარობენ ხოლმე. გავაცილებ, ვისაუბრებთ. ფაქტია რომ ძალიან მომწონს, მგონი არც ის უნდა იყოს მთლად გულგრილი ჩემს მიმართ, არა მგონია მხოლოდ ცნობისმოყვარეობა ყოფილიყო მიზეზი, ჩემს სახელს რომ კითხულობდა უბანში.

ისევ ბაზარში გადავწყვიტე გადასვლა. ჩანთა ავიღე და უკვე კარისკენ მივდიოდი, ზარმა რომ დარეკა. ზღურბლზე ჯმუხი აღწაგობის, საშუალო ასაკის ტანდაბალი კაცი იდგა, ერთიანად შავებში გამოწყობილი. მორაგბის ილეთით გამკრა მხარი და დაუპატიჟებლად შემოაბოტა.

– ვინა ხართ! – რა გნებავთ! – ვიყვირე, მისი თავხედობით აღშფოთებულმა. ქვემოდან ამომხედა ამრებით.

– მოკლედ ეგრე, ყმანვილო, იმ გოგოს სიახლოვეს გავლა აღარ გაბედო თორემ კისერს მოგიგრეს! – გაიგე?

– ვინ გოგო, რა გოგო, რაღაც გეშლებათ ეტყობა!

– ეს შენ გეშლება ლანჩირაკო! – მე ჩემი გითხარი, თუ გაიგებ

კარგი, თუ არადა შენს თავს დააბრალე.

– ეხლავე გადით აქედან! ჩემს კერძო საკუთრებაში შემოიჭერით და აქეთ მემუქრებით, კანონიერი უფლება მაქვს კისრისტეხით დაგიშვათ კიბეზე.

– ჭკუით-მეთქი, ყმანვილო! – ეს ბოლო გაფრთხილებაა!

მკლავში მოვკიდე ხელი და კარი ზურგსუკან მივუჯახუნე. წინააღმდეგობა არ გაუწევია. ტანდაბალი იყო, თუმცა კუნძივით მძიმე.

გუნება მომეშხამა. ბოლთის ცემა დავინწყე ნერვიულად. ფანჯარასთან მივედი და გადავიხედე. „ჯმუხმა“ ლენდ კრუიზერის კარი გამოაღო, სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. ერთხანს იქვე ეწეოდა, ზურგით მანქანაზე მიყრდნობილი, მერე ნამწვავი ძირს დააგდო, ფეხით გასრისა და სადარბაზოში შევიდა.

მთელი ღამე ვბორგავდი, ვერაფრით დავიძინე. გამთენიისას ჩამეძინა მხოლოდ. ჩამთვლიმა და ანი მესიზმრა. ჩემი კარის ზღურბლზე გამოიკვეთა მისი სილუეტი. თეთრი პალტო ეცვა და მიკვირდა, ამ ზამთარში ვინ ატარებს-მეთქი თეთრი ფერის სამოსს. პირისფერი შარფი ეკეთა, ქარი უწენავდა გაშლილ თმას, თეთრი ფიფქები ეცემოდნენ გრძელ წამწამებზე, ზედვედნებოდნენ და პატარ-პატარა წვეთებად ქცეულნი ჯადოსნურ ფერებად ციმციმებდნენ. ვუცქერდი და გულში სიხარული მენტო, ნაბიჯის გადადგმას კი ვერ ვახერხებდი რომ ხელი მომეხვია, მკერდში ჩამეკრა. ის კი მიცქერდა და სიცილს ვერ იკავებდა.

უხალისოდ წამოვდექი, ცხელი შხაპი მივიღე, წვერი გავიპარსე. ვიფიქრე, სადმე გავალ-მეთქი სახეტილოდ. გადავიფიქრე. მთელი დღე უაზროდ გავატარე, უხალისოდ.

რა უსამართლობაა ეს ოხერი, ასეთ სათნო გოგოს, ასეთი ტლუ და რეგვენის ახლობლები რატომ უნდა ჰყავდეს? – ბარემ ოთახშიც გამოკეტონ, ვიდრე ვილაც მდიდარ ვირგლას შეურჩევნე საქმროდ. „ჯმუხი“ ალბათ მძლოლია და ქეშიკიც ერთდროულად, შეფის დავალებით დამადგა თავზე ეს ყეყჩი და მორალის საფუძვლებს მიკითხავს.

იქნებ მათ მხარესაა სიმართლე? ვილაც ეული ბიჭისთვის

განა რომელი მშობელი გაიმეტებს შვილს? – მაგრამ იქნებ ანი არ ფიქრობს ასე, ჰკითხა კი ვინმემ?

ვახშმის გაკეთებას ვაპირებდი, კარზე რომ დარეკეს. სისხლი მომანვა სახეში.

– თუ ისევ ის ტიპია დავუმტვრევ-მეთქი ცხვირ-პირს, გავიფიქრე. რალაცას წავატანე ხელი და ეს რალაც ცომის გასაბრტყელებელი აღმოჩნდა. ჭუჭრუტანაში არც გამიხედავს, ისე გამოვალე კარი და, – კიდევ ერთი საოცრება! ანი დგას და მიყურებს გაფართოებული თვალებით.

შარფი მეცნო, სწორედ რომ პირისფერი შარფი ეკეთა, მაგრამ თეთრი პალტოს ნაცვლად ქურთუკი ეცვა ნაცრისფერი, თეთრი, ფუმფულა საყელოთი. თვალებს აფახულებდა და მის წამწამების ბოლოებზე დამდნარი თოვლის წვეთები ნათურის შუქზე ელავდნენ როგორც სიზმარში.

იდგა დაბნეული და ხან მე შემომხედავდა, ხან ხის გასაბრტყელებელს, ხელში რომ მეჭირა.

– შეენ? – პირი დავალე განცვიფრებულმა, ვხედავდი და თვალს არ ვუჯერებდი.

– შემომიშვებ?

უკან დავიხიე, გზა გავუნთავისუფლე. შუა ოთახში შედგა, ოთახს თვალი მოავლო. დაჯდომა შევთავაზე. თავი გააქნია, თვალდახრილი შემობრუნდა.

– ბოდიშის მოსახდელად მოვედი.

– ბოდიშის? – რატომ?

– გუშინ საღამოს მამას მძლოლი, ნიკო ამოვიდა და მამას, ასე ვთქვათ, „ანგარიში“ ჩააბარა. მე კარს უკან ვიდექი და ყველაფერი მესმოდა. – იცი, მამა სულაც არაა ცუდი ადამიანი, მალე ბრაზდება ხოლმე, მაგრამ მალევე გადაუვლის, გულიც კეთილი აქვს. ნიკო რომ წავიდა, მამამ დამიძახა და დიდხანს ვისაუბრეთ. ჰოდა, ბოდიში მინდა მოვიხადო მამას და ნიკოს გამო.

ცრემლმორეული თვალები ისევ დახარა და მე თავი დამნაშავედ ვიგრძენი. ვინ იცის, როგორი ცხარე კამათი ჰქონდა მამასთან ჩემს გამო, გუშინ საღამოს.

– არაფერია, ისეთი არც არაფერი ყოფილა, ბოდიშად რომ ღირდეს.

– მაშინ მე წავალ, კარგად იყავი. – ჩაიჩურჩულა

თავი არ აუწევია, მკვეთრად შებრუნდა და გასასვლელ-ისკენ წავიდა. ნაბიჯი გადავდგი, მინდოდა მკლავში ჩამევლო ხელი, ნუ წახვალ-მეთქი მეთხოვა. ერთბაშად შედგა, ერთხანს გაირინდა, მერე ნელა მოტრიალდა.

– რუსთაველზე მივდივარ სასეირნოდ, საზეიმოდაა მორთული ცენტრალური ქუჩები, მოედანზე უზარმაზარი ნაძვის ხეც დგას, შენ არ გინდა წამოსვლა?

– მე?

გაეცინა, – ამ ოთახში არის განა ვინმე შენს გარდა?

– ჰო, რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... ახლავე ჩავიცვამ. იქამდე გინდა რამე მოგიმზადო, ყავა ან ჩაი?

– არა, არ მინდა, სადმე კაფეში დავლიოთ ყავა, მოგვიანებით.

საძინებელში გავიქეცი და კარადიდან ტანსაცმელი გამოვყარე, პულოვერი გადავიცვი, ფაცხაფუცხით გავუყარე ფეხები შარვალში და თან კარის ღრიჭოდან გავიჭყიტე ქურდულად.

ჩემს ფანჯარასთან, ჩემს მორყეულ სკამზე იჯდა ჩემი ზღაპრული ფერია, ჩემს ფანჯრის წინ მოფარფატე ფანტელებს უცქერდა პირზე ღიმილით.

ისევ თოვდა, თუ ამას თოვა ჰქვია. ჰო, ქრისტეს შობა იყო სწორედ იმ დღეს, ბრწყინვალე დღესასწაული, სასწაულების, ოცნებების ახდენის დღე... მე, რიგით მოკვდავს, არ მესმოდა ხმა ზეციური და იდუმალი:

– ოსანა მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა!

მაგრამ გარკვევით მესმოდა ხმა გალობისა, ხმები ბავშვების, წმინდა, წკრიალა, დაუდეგარ ნიავს რომ მოჰქონდა სადღაც შორიდან, უმანკო ფიფქების საპატიო ესკორტის თანხლებით.

– ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო დააა, ოჰო ჰოი, ჰოი ალილოოო...

## ნათია გოგიჩაიშვილი



### საშობაო ზღაპარი

— ყურთასმენა აღ-არაა! — გამოხეთქა კაბინეტის ღია კარიდან ბენიამინის ბრაზმა, — ყოველ წელს ერთი და იგივე... ბრჭყვიალები და სიცილ-კისკისი! როდის უნდა იმუშაოთ?!

ოთახში სიჩუმე ჩამოწვა.

– მიუბრუნდით საქმეს! და არ დავინახო შარშანდელივით რაღაც ზიზილ-პიპილები ჩემს კაბინეტში! მანდაც საკმარისია! — და კარი შეიჯახუნა.

ბენიამინი სანარმოთა უზარმაზარი ქსელისა და მათზე მიბმული ბევრი წვრილ-წვრილი ბიზნესის დირექტორი და მამამთავარი იყო, ერთი უჟმური და უგემური კაცი, რომელსაც სძულდა მხიარულების ყველანაირი გამოვლინება, სიმღერას ხმაურად აღიქვამდა, სიცილს — ნევროზულ ჩვევად; საკუთარ დაბადების დღეს საქმიან პარტ-

რაც შეეხება წარდგენას, ასე იყოს (სახელისა და გვარის მითითებით):

„ვარ ფილოლოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, მთარგმნელი, რედაქტორი. ძალიან მიყვარს ლიტერატურა, ჩვენიც და სხვა ქვეყნებისაც. მიყვარს, ასევე, ენებთან ურთიერთობა. ვასწავლი და ვსწავლობ თავადაც, კვითხულობ, ვწერ, ვმუშაობ ენობრივ პროექტებზე.“

ნიორებთან კავშირების გამყარებას ახმარდა, საყოველთაო დღესასწაულებს კი – ჩანოლილი საქონლის ეფექტურად გასაღებას. აფასებდა სერიოზულობას, საქმიან წინადადებებს და რიცხვებს. როგორც თანამშრომლები ჩურჩულებდნენ, ძილისპირულადაც კი ანგარიშში ეფლობოდა, ითვლიდა, ითვლიდა და სახეზე ბედნიერი ღიმილით ეშვებოდა სიზმარეულ სამყაროში, რაც სიმართლეს არ შეესაბამებოდა – ბენიამინს არასოდეს ჩაეძინებოდა რიცხვების გარემოცვაში.

კარზე დააკაკუნეს.

– მობრძანდით! – გასძახა ბენიამინმა. ოთახში ადამიანური რესურსების განყოფილების უფროსი, მარიამი, შემოვიდა და, უფროსის ნიშნის მერე, სკამზე დაჯდა.

– მაინტერესებს, გოგას წინადადებაზე თუ იფიქრეთ და რა გადაწყვეტით, – მარიამს სწორედ ასეთი კითხვების გამო ჰქონდა ოფისში თავზეხელაღებული სახელი გავარდნილი.

– გოგას წინადადებაზე რასაც ვფიქრობ, იცით. არ ვაპირებ მზის პანელების დაყენებას. ხათაბალა ხათაბალად და არც ის მინდა, ჩვენი პარტნიორები გავანაწყენო, რომლებიც, მშვენივრად იცით, ჩვენი ყველაზე დიდი დამკვეთები არიან. და რის გულისთვის? გარემოსთვის? ჩვენ რა შუაში ვართ? – ბენიამინი ვერც თავად ხვდებოდა, რატომ აძლევდა ხოლმე მარიამს ამდენის უფლებას.

– სხვათა შორის, – ქალს, როგორც ჩანს, დანებება ჯერ არ უნდოდა, – ეგ ამბავი არამართო გარემოსთვის, ჩვენთვისაც მოგებიანი იქნება, როგორც გოგამ თქვა. მერე და მერე ფინანსურ სარგებელსაც მოგვითანს და არც ისაა ტყუილი, რომ გარემოს ძალიან ვაზიანებთ და...

– და ჩვენ გადავარჩენთ დედამიწას იმით, რომ ძალიან საეჭვო გადაწყვეტილებას მივიღებთ და საქმიან პარტნიორებს დავკარგავთ?

– ყოველი ადამიანის მიღებულ გადაწყვეტილებას აქვს მნიშვნელობა, მითუმეტეს, ისეთისას, როგორიც თქვენ ბრძანდებით, რომელიც უამრავ დიდ შენობას განაგებს.

ბენიამინი ისე მისჩერებოდა ქალს, როგორც ჩანს, არც ამჯერად უნდა მომხდარიყო საშობაო სასწაული მის გულში. მარიამი გაჩუმდა.

– მოდი, ასე ვქნათ, ახლა მე შეხვედრაზე უნდა წავიდე, შენ და გიგამ კი მწვანე ინიციატივები გვერდზე გადადეთ და საქმეს მიუბრუნდით.

\*\*\*

– ბენო! – ძახილმა შეაჩერა. დიდი ხანია, ასე მისთვის არავის მიუმართავს. შეჩერდა და მიიხედა. ნაოჭებიდან ორი ბრჭყვიალა თვალი მისჩერებოდა.

– ბენო! როგორ ხარ, ჩემო ბიჭო? – არამართო ტუჩები, თვალებიც უღიმოდა ქალს.

– თინა მასწავლებლო! – გონებასთან ერთად თითქოს გულიც გაუნათდა ბენიამინს და გაუკვირდა, იუცხოვა.

– რამდენი წელია, არ მინახავხარ, – თინა მასწავლებელი საუბრისას შეცდომებს არასოდეს უშვებდა, – ლაშამ მითხრა, რომ წასული იყავი სასწავლად და სამუშაოდ, არ ვიცოდი, თუ ჩამოხვედი. სწორედ შენზე ვფიქრობდი ამ დღეებში. როგორ გამიხარდა! აი, საშობაო სასწაულიც!

– ვიყავი, დიახ, დიდი ხანი არაა, რაც ჩამოვედი, – შობისა და სასწაულების თემას თავი აარიდა ბენიამინმა, – როგორ ბრძანდებით? ისევ სკოლაში ხართ?

– არა, ჩემო კარგო, სკოლაში აღარ ვარ, აღარ მომყვება ის ენერგია, რაც მინდა, რომ მქონდეს და ნახევრად ყოფნა კი არსად გამოდის, შენც ხომ იცი, – ბენიამინს ნოსტალგია არ სჩვეოდა, მაგრამ ეს ღიმილი, მეხსიერების უძველეს ფენებში გადანახული და მაინც ასეთი ნაცნობი, თავისდაუნებურად უღივინებდა გულში. ქალი კი აგრძელებდა, – შენი კლასელებიც ამოდიან ხოლმე, ნინიკო და ლალი იყვნენ ცოტა ხნის წინ, ბევრი ვილაპარაკეთ, ყველანი გაგიხსენეთ, შენც, მათ შორის. ლალის რომ აწყენინეს უფროსკლასელმა ბიჭებმა და შენ და ლაშამ იჩხუბეთ, გახსოვს? როგორი დალილავებული

იყავი და მაინც ძლივს გაგაჩერეთ...

ბენიამინს უხერხულად გაელიმა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მასწავლებელი ბავშვობისდროინდელ ტანსაცმელს აწვდიდა და სთხოვდა, მოიზომეო.

– დიახ... იცით, თინა მასწავლებელო, ბოდიში, უნდა გავიქცე, შეხვედრაზე მაგვიანდება.

– კარგი, ჩემო ბიჭო. ამომიარე, როცა შეძლო, კარგი? ვილაპარაკოთ, არაფერი მსმენია შენზე მას მერე, რაც... – თინა მასწავლებელი გაჩუმდა, მის თვალებში ვარსკვლავები თითქოს მიინავლნენ. ბენიამინმა ისევ უხერხულად გაილიმა.

– დიახ. აუცილებლად. დროებით, – მიბრუნდა და სწრაფი ნაბიჯით წავიდა. ამჯერად მისი ნაცარმიყრილი მოგონებებიდან მასწავლებლის ღიმილზე უფრო დიდი და მუქი რაღაც ამოიზარდა. არაფრის გულისთვის არ აპირებდა მის ამოქექვას. გრძნობებს კარგი არაფერი მოაქვს. გრძნობებს უნდა მოერიო. მხოლოდ ლოგიკაა სწორი. ლოგიკა და რიცხვებია მყარი და წარუვალი. და ახლა შეხვედრაზე მიეჩქარება. მასწავლებელს, რა თქმა უნდა, არ ნახავს. არა უშავს, ცოტა ხანში არც ემახსოვრება, რომ ბენიამინს შეხვდა. ოჰ, ჯანდაბა, თოვა დაიწყო. საყელო აინია და ნაბიჯს აუჩქარა.

შეხვედრამ კარგად ჩაიარა. კმაყოფილი ბენიამინი პარტნიორს ხელის ჩამორთმევით დაემშვიდობა და გარეთ გამოვიდა. იქაურობა გადათეთრებული დახვდა, ქუჩაში მოსიარულეები კი – ბედნიერები და მხიარულები. ატმოსფერულ ნალექზე ასეთი რია-რია ბენიამინის ლოგიკისთვის მიუღებელი იყო. ნაბიჯაჩქარებულმა გეზი ოფისისკენ აიღო და ის იყო, კუთხეში უნდა შეეხვია, სახეზე გუნდა შეეფშვნა.

გაოცებისგან რამდენიმე წამს გაშეშდა. მერე კი ჯერ თოვლი ჩამოიფერთხა და შემდეგ უკან შებრუნდა.

– ბენო! – კიდევ ერთხელ, ამჯერად სხვა ხმის ნათქვამი ბავშვობის სახელი მოესმა, – არ მაინტერესებს, სად გეჩქარება! შანსი არაა, გაგიშვა! – ხალხს კაცი გამოეყო და ბენიამინს გადაეხვია. ეს უკანასკნელი ამჯერადაც გაშეშდა. ამჯერად

ბრაზზე გაურკვევლობამ იმარჯვა. დაბნეული იდგა, სანამ თავს დამცხრალი ადამიანი არ მოშორდა და ჯერ კიდევ ხელებში ჩაბლუჯულს გაბრწყინებული თვალები არ მიაპყრო. კიდევ ერთხელ გადაიქექა ნაცარმიყრილი მოგონებები და ბენიამინმა ყოფილი მეზობელი და ყველა თავგადასავლის თანამზრახველი ნიკა იცნო. ბრაზსა და დაბნეულობას ღიმილი შეერია. ალბათ, ბოლოდროინდელი განსაკუთრებული გადაღლის ბრალი თუ იყო, რომ მის ლოგიკას ისე ძალიანაც არ გაუპროტესტებია ეს ამბავი.

– რამდენი ხანია, არ მინახიხარ! რაც გავიგე, რომ ჩამოხვედი, იმის მერე სულ გექებ. რას გვემალები, ბიჭო? – ნიკა ისეთი გაბრწყინებული იყო, ამ სიტყვებს სულაც არ ერია საყვედურის ტონი, – როდის გნახე ბოლოს? მგონი მაშინ, შენი დის ამბავზე... – ნაცარმიყრილი ჩრდილიდან ისევ იმან დააპირა გამოსვლა, თინა მასწავლებლის ნახვის მერე რომ წამოიმართა და ისევ უკან შეაბრუნეს საუბრის სწრაფად დასრულებით.

– ნიკა! გამიხარდა შენი ნახვა! – თინა მასწავლებლისგან განსხვავებით, ნიკამ თითქოს მოახერხა და ბავშვობის ქუდი ჩამოაფხატა თავზე, – მაგრამ უნდა გავიქცე, აუცილებლად უნდა ვიყო სამსახურში ათ წუთში!

ნიკამ მისი შეჩერება სცადა, მაგრამ ბენიამინი მაინც დაუსხლტა ხელიდან, მე დაგირეკავო, გადასძახა მხარუკან და ისე გაიქცა, ნომერი არ გამოუერთმევია.

მიდიოდა და ფიქრობდა. ეს უკვე მეორედ უხსენეს ერთ დღეს, ერთ საღამოს, უფროსი და, რომელმაც დედის არყოფნა არ აგრძნობინა და რომლის დაღუპვაც ერთადერთი რამ იყო, რაც მის ლოგიკას დღემდე ვერ გაეანალიზებინა და მიეღო. ეს უკვე მეორედ სცადეს იმაზე დალაპარაკება, რასაც უკვე რამდენიმე წელია, გულმოდგინედ მალავს სადღაც. გონებიდან ამოგდება ვერ მოახერხა, მაგრამ სიღრმეში მაინც შეჩურთა, მიაყარა ყველანაირი ხარახურა, რაც კი საკუთარ თავში მოიძია. ესეც რომ არ ეყო, მიაღგა და ყველა საქმე საკუთარ თავზე

აილო, რასაც გარშემო მისწვდა, რომ წუთიც კი არ დარჩენოდა ფიქრისთვის.

უცებ აღმოაჩინა, რომ სამსახურს გასცდენოდა. გაკვირვებული შედგა და ოფისისკენ მიბრუნდა. ქვის კიბესთან პატარა ბიჭი დაინახა. ამინდისთვის შეუფერებლად თხლად ეცვა და ახველებდა. ბენიამინს არ უყვარდა მათხოვრები. ამჯერადაც დააპირა, თვალი აერიდებინა მისთვის, მაგრამ სწორედ იმ წამს დაინახა, როგორ მივიდა ბიჭთან ორიოდ წლით უფროსი გოგო, კიდეც უფრო თხლად ჩაცმული, რომელსაც ორივე ხელით ეჭირა ფუნთუშა, ბოლომოძენილი ყელსახვევი შეუსწორა და კიბესთან კედელს ამოაფარა, შემდეგ ფუნთუშა გადატეხა, უფრო დიდი ნაჭერი გაუნოდა და შუბლზე ჩამოყრილი თმა გადაუწია.

ბენიამინი ვერ იტყოდა, რამ აიძულა, გაშეშებული მდგარიყო და თვალი ედევნებინა ამ სცენისთვის, მაგრამ იდგა და უყურებდა. ის რაღაც მუქი და მძიმე უკვე ისე წამომართულიყო, ვეღარანაირი ძალისხმევა ვეღარ შეაბრუნებდა ნაცარქვეშ. ვერ ამჩნევდა, რომ ციოდა, ათოვდა, სველდებოდა და გამვლელებსაც უშლიდა ხელს. მხოლოდ უსაშველოდ მომძლავრებულ-გადიდებულ ბურთს გრძნობდა, მის გონებასა და გულს რომ გადაჰფარებოდა და ყელშიც გასჩროდა. ალაგ-ალაგ გაიღვებდა თინა მასწავლებლის ბრჭყვიალა თვალები, ნიკას სახეზე გადაჭიმული ღიმილი, თუმცა დის თითები იყო ის, რასაც ყველაზე აშკარად ხედავდა. თითები პურს უჭრიდნენ, ტანსაცმელს უკეცავდნენ, ნიგნს უფურცლავდნენ და თმას უსწორებდნენ. ამ თითებზე ის დიდი, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვერ ფიქრობდა.

\*\*\*

ის საღამო ყველას ერთ დიდ უცნაურ, მაგრამ კეთილ საშობაო ზღაპრად დაამახსოვრდა. ვერ გაერკვიათ, ბავშვებზე ხელჩავლებული მოლიმარი ბენიამინის დანახვა უფრო უცნაური იყო, თუ ოფისში შემოდენილი სასუსნავეებისა და

„ზიზილ-პიპილების“ ნიაღვარი.

ბენიამინი ჯერ მარიამს ეთათბირებოდა ბავშვების განათლებაზე, მერე კი გიგას უსმენდა ენერგიის წყაროებზე. ამჯერად მისთვის აღარ შეუწყვეტინებია და არც პარტნიორის წყენინება აუფარებია კედლად, უსმენდა და ფიქრობდა, როგორ ანგრევდა თავისი გადანწყვეტილებებით საკუთარ საცხოვრებელს ისე, რომ ვერც კი ხვდებოდა.

მოგვიანებით, როდესაც უკვე სახლში იყვნენ, ბენიამინმა დიდ პიჟამებში გახვეული ბავშვები ლოგინში ჩააწვინა, საბანო შემოუკეცა, კარადასთან მივიდა, ცოტა ხანს რაღაც ეძება, ბოლოს ერთი გაყვითლებულფურცლებიანი ნიგნი გამოაძვრინა და ლოგინზე ჩამოჯდა. გადაშლილი ნიგნიდან სურათი გადმოვარდა. ბენიამინმა ფრთხილად აიღო, დიდხანს უყურა, ილიმებოდა და ცრემლები ეკიდებოდა ნიკაპზე. სურათს გოგონამაც დახედა.

– ვინ არის? – ჰკითხა ბენიამინს.

– ჩემი და, – ხმადაბლა უპასუხა ბენიამინმა ისე, რომ სურათისთვის თვალი არ მოუცილებია.

– მარიამისნაირად ილიმის, – თქვა გოგონამ და საბანოში ჩაძვრა.

## ლალი მიქაია



### ბედნიერი შობა

ლალი მიქაია, ნიკი ურაკპარაკზე „ელადა“

ვარ სპეციალობით ენერგეტიკოსი, ფიზიკოსი და რუსულის სამეცნიერო-ტექნიკური თარგმანის სპეციალისტი, მიყვარს პროზა და პოეზია, ვკითხულობ ბევრს, ვწერ და ვთარგმნი როცა თავისუფალი დრო მაქვს, ცხრა წელი ვიცხოვრე ემიგრაციაში, მიყვარს ენების სწავლა, ახლა ვსწავლობ იტალიურს.”

ძროხას და წვრილფეხს ფეტვი მიაყარა, გამრავლება უსურვა, პირველი შობა იყო თინას გარეშე, პირობა შეასრულა, ქალაქში არ წავიდა შვილებთან და შვილიშვილებთან, კერა არ გააცია.

**დ**ილით ადრე გაელვია, ბარაქიანად თოვდა, ადგა, ტრადიცია აღარ დაარღვია, კედლიდან ძველი მამა-პაპური „ხირიმი“ ჩამოიღო, საკუთარი თავს და ხუთ მეზობელს მიულოცა გიგლამ შობა.

ხუთი საკვამურიდან რიგრიგობით აისვეტა კვამლი და ნისლს შეუერთდა, ნასახლარები ფიფქებმა გაალამაზა, არსად ჩანდა მორყეული ღობე და ჟანგიანი ბოქლომები. ხეებზე დათოვლილი ფითრები გირლიანდებდად ეკიდა, შიგ ბუდეში ბელურები ჟივჯივებდნენ.

გიგლამ ღუმელი გაახურა, ძროხას და წვრილფეხს ფეტვი მიაყარა, გამრავლება უსურვა, პირველი შობა იყო თინას გარეშე, პირობა შეასრულა, ქალაქში არ წავიდა შვილებთან და შვილიშვილებთან, კერა არ გააცია.

მანქანის ხმაზე გარეთ გაიხედა, მესაზღვრეები ეგონა, სხვას არავის ელოდა ასეთ ამინდში. ჭიშკართან „დევიკა“ გაჩერდა.

– გიგლა პაპას გაუმარჯოს! – თვალებს არ დაუჯერა, ჭიშკართან ნიკა იდგა.

– ქალაქურად უნდა მოგილოცო პაპა, – უთხრა ნიკამ და დიდი „მაშხალა“ გაისროლა. ფიფქებთან ერთად ხელოვნური ვარსკვლავები ლამაზად ეშვებოდნენ დაბლა.

– მართლა არ გელოდი ნიკა, უკვე დიდი ბიჭი ხარ, ცოლ-შვილი, სამსახური, ჩემთვის სად გცალია.

– პაპა, დიდი ციგა გამოიტანე, ჩანთები უნდა დავალაგო.

– რამდენი ბარგი გაქვს ბიჭო, ეტყობა დარჩენას აპირებ სანადიროდ

– არა, სოფელში ვბრუნდები პაპა, არ გეხუმრები.

ბარგი შემოზიდეს, გიგლამ ღუმელს დიდი კუნძი შეუკეთა, ქრისტეს პური გატეხეს, შობა დალოცეს.

– აბა, ახლა მომიყევი რა ხდება ქალაქში, თვეზე მეტია შუქი არ ყოფილა, მესაზღვრეების ნაჩუქარ რადიოლას ელემენტები დაუჯდა. რაღაც პანდემია რომ იყო დამთავრდა?

– არა, პაპა, ჯერ არსად აპირებს წასვლას, წამალიც ვერ გამოიგონეს, აქ ვერ შემოაღწევს, თქვა და პირბადე ცეცხლს შეუკეთა. პაპამ „ისპანკა“ გაიხსენა. აჰა, შენ ელემენტების დამტენი, მზის შუქით იტენება.

– ახლა შენზე მომიყევი ნიკა.

– ეკა სკოლაში მუშაობს პაპა, ნიკა, დიდი გოგოა, ბაღს ამთავრებს, ექიმებმა მთის ჰაერი გამოუნერეს, რაღაც უცნობი ალერგია აქვს, გაზაფხულიდან აქ ვიცხოვრებთ, მანამდე ნელ-ნელა გადმოვბარგდებით.

– მერე სკოლა?

– სკოლას აქ გავხსნით, ჩვენს სახლში, ეკამ განათლების სამინისტროს გრანტი მოიპოვა. სოფლის ბავშვებს აღარ მოუწევთ გაღმა ხუთი კილომეტრის გავლა.

პაპა უსმენდა, თან საახალწლო სიზმარი ეგონა.

– შენ რა უნდა აკეთო, არ მითხრა ცხვარ-ძროხას მოვამ-რავლებო.

– გამოიცანი პაპა, სწორედ მაგას ვაპირებ. გიგლას გაე-ცინა, შვედეთიდან პირდაპირ მთაში გადმობარგება ზღაპარი მგონია. ევროკავშირის გრანტი მივიღე მცირე ბიზნესისთვის, ცოტაც ემიგრაციაში დანაზოგი მაქვს, მაგრამ გეგმები დიდია.

– მაინც რა? – ინტერესში ჩავარდა პაპა.

– ჰოსტელი უნდა გავაკეთო.

– ეგ რაღაა?

– ოჯახური სასტუმროა.

– მერედა ვინ გვესტუმრება ამ უგზო გადაკარგულში?

– სალაშქრო ტურები იქნება, იუნესკომ ისტორიული ძეგლის სტატუსი მიანიჭა ჩვენს სოფელს, ცხვარ-ძროხას მო-ვამრავლებთ, ამათ შენ მიხედავ მამა-პაპური წესით, რძეს და ნაკელს მე.

– ნაკელს? – გაეცინა პაპას, მაგას რაღას უზამ, ალბათ სათბურის გაკეთებას აპირებ, თუმცა აღარ დაასრულა...

– არა ეგ უფრო შორეული გეგმაა, ნაკელისგან ბიოგაზს მივიღებთ, ჩვენს სკოლა-სახლს გაათბობს და ჰოსტელსაც, გაზზე მომუშავე გენერატორს შევიძენთ უშუქობისთვის, პა-ტარა სათბურს გავაკეთებთ, რადგან ცხელი წყალიც გვექნება, სასუქიც ბუნებრივი და ნატურალურ ბოსტნეულს მოვიყვანთ.

– ურიგო არ იქნება, დაეთანხმა პაპა, სოფლის დასაწყისში ტრაფარეტს გავაკეთებთ „ბიოსოფელი“, კარგი იდეაა პაპა, ბებიაჩემისგან გამიგია, რომ ჩვენს ტყეში ბევრი სამკურნალო მცენარეა, მერე მაგასაც მივხედავთ და ყველაზე მთავარი, ორით ნაკლები მანქანა ივლის ქალაქში.

შობის ღამე ყველაზე გრძელი გამოდგა, ბევრი ილაპრაკეს, პაპა ძველ „კრეატივებს“ იხსენებდა, ნიკა ახალ ევროპულებს აცნობდა, ღუმელში კუნძი ჩუჩუნებდა, დარღლილებს ტკბი-ლად დაეძინათ. სიზმარში თუხთუხებდა ნაკელის დიდი ქვაბი, მიღები ცისფერი „ბიოგაზით“ ივსებოდა.

ნიკა ბოლო ზეიმს დაესწრო ქალაქის ნაძვის ხესთან.

## ბინეა (თინა დალაქიშვილი)

### მეუზოვე



მოუპოვებელი დილა გათენ-და. ცას შავი ღრუბლები სპარსული, გასარეცხი ხალიჩასავით ქვეშ მოექცია, ნვი-მას აპირებდა. თავისუფლად მო-რიალე ქარს აღმა-დაღმა დაჰქონ-და ყვითლად შეფერილი ფოთ-ლები. ადრიან ჟამს უფრო მეტად ამუქებდა მოღუშული გარემო. კანტიკუნტად მოძრავი მანქა-ნებიც თითქოს ისევ ძილბურანს მოეცვა და უკმაყოფილო ღმუილ-ით მიუყვებოდნენ ქუჩებს.

თავ-კისერზე მჭიდროდ მოხვეული მანდილით და გადალ-ლილი სახით მიუყვებოდა ქალი ტროტუარს. ღრმად ჩამჯდარ ნაოჭებსა და სხივდაკარგულ თვალებში ცხადად ეწერა გულის ვარამი. ყველაფრისადმი გულგრილობა იკითხებოდა მის ერთ-დროს ლამაზ და ეშხიან პირისახეზე. ჩქარობდა.

სამსახური საცხოვრებელიდან საკმაოდ მოშორებით ჰქონდა

ვარ თინა დალაქიშვილი, 34 წლის. მყავს მეუღლე და ორი შვილი. ხელოვნების სფერო ჩემი განტვირთვის საშუალებაა. ამჟამად ვცხოვ-რობ უცხოეთში და ვცდი-ლობ დამატებით რაღაც სა-სარგებლო ვაკეთო, ამიტომ თავისუფალ დროს ვწერ, ვკითხულობ, ვქარგავ, ვქსოვ და ვსწავლობ უცხო ენებს.

მაგრამ თავს იმის უფლებას ვერ მისცემდა, ერთი პურის ფასი საკუთარი კომფორტისთვის დაეხარჯა და ტრანსპორტით ესარგებლა. უკანა გზაც მისათვლელი იყო, დაზოგილი კაპიკები უმამოდ დარჩენილ ოჯახს ხმარდებოდა. არა, ავტობუსში ასვლას ნამდვილად ვერ გაბედავდა. არ უშინდებოდა ჯერ ისევ უკუნეთში ადგომასა და ქარბუქსა თუ წვიმაში ქუჩაში გასვლას. მძიმე ცხოვრება ჯერ ისევ ახალგაზრდა მხრებზე აუწონავ ტვირთად აწვა.

კიდეებზე ნესტგამჯდარ შენობას მიადგა, თავისაუწევლად აიარა კიბეები და მოზრდილ ფოიეში შეაბიჯა. არ შეჩერებულა, ვინრო კორიდორი ბოლომდე გაიარა და მორყეული კარი ჭრიალით შეხსნა. გაცრეცილ მანტოზე მანათობელი ფორმა შემოიცვა და ოთახის გვერდით სათავსოს ფარდა გადასწია, ბოლოებგაფარჩხულ ცოცხს ხელი დაავლო და უკან გამობრუნდა. გასვლამდე კარადაზე მიყრილი წყვილი ხელთათმანიც აიღო და შენობა დატოვა. ეზოს ღობესთან ჩამწკრივებული, მაღალი ყავისფერი სანაგვე ბუნკერები თითქოს თავის რიგს უცდიდნენ. ქალმა პირველივეს მოკიდა ხელთათმანიანი ხელი და გზა გადაიარა.

მარდად შეუდგა საქმეს, სურდა თავისი კუთვნილი ტერიტორია სწრაფად მოემთავრებინა და მძინარე შვილებისთვისაც მიესწრო. მათთვის საუზმის გამზადება მისთვის ამქვეყნიურ სამოთხეს წარმოადგენდა. იმის ყურება, თუ როგორ გემრიელად ილუქებოდნენ ჯერ ისევ ძილაყოლილი პატარები, ენითაუწერელ სიამოვნებას ანიჭებდა. ცდილობდა იმ მწირ საკვებზე არ ეფიქრა, რის შეთავაზებასაც ძლივს ახერხებდა მარტოხელა დედა. მთავარი ის იყო რომ მისი შვილები ჯანმრთელები და გაჭირვების მიუხედავად, ბედნიერები იყვნენ. სხვა დანარჩენს მნიშვნელობა არ ჰქონდა. მშობელი ყველაფერს გაუძლებდა, რათა მათ თვლებში ის სხივი დაენახა რომელიც მის მზერაში დიდხნის უკან ჩამქრალიყო.

მომდგარი ცრემლი სახელოთი მალულად შეიმშრალა და თავი მალლა ასწია. ცოცხი უფრო ძალუმად მოიქნია.

აფრიალებული ფოთლები გაუბოდნენ. არ უყვარდა წლის ეს სეზონი, საქმე ორმაგად ჰქონდა საკეთებელი, უკვე დასუფთავებულ უბანს უკან რომ მოხედავდა თითქოს არაფერი იყო გაკეთებული, მაგრამ ეს სამსახური ეიმედებოდა და უნდა შეესრულებინა. სხვაგვარად მათ გამოკვებაზე ოცნებასაც კი ვერ შეძლებდა. ყველაზე მეტად სამუშაო საათები ეხმარებოდა. რვა საათისთვის ნაკისრი მოვალეობაც შესრულებული ჰქონდა და ბავშვებისთვისაც მთელი დღე რჩებოდა. ხანდახან მათი სკოლაში ყოფნის პერიოდში კერძოდ მიდიოდა ბინების დასალაგებლად, კეთილმა მეზობელმა ახლობლებთან კარგი რეკომენდაცია გაუწია და ორი მათგანი იბარებდა კიდეც. მართალია იქიდან დაბრუნებულს დაღლილობისგან ლაპარაკის უნარიც კი დაკარგული ჰქონდა მაგრამ ბედს არ უჩიოდა, გულშიც კი არ ივლებდა უფლის სამდურავს. დღე არ გავიდოდა სამყაროს შემქმნელისთვის უსიტყვოდ მაღლობა არ შეეწირა, იმ წვალეებით ნაშოვნი ლუკმისთვის და შვილების ჯანმრთელობისთვის.

როგორც იქნა ქუჩის ბოლოში გავიდა. ხმელი ფოთლებით სავსე ურნას თავზე ცოცხი დაადო და გრიხინით დაძრა. მაჯის საათს დახედა, რვა გამხდარიყო. უნდა ეჩქარა, არ უნდოდა გაღვიძებულ ბავშვებს ცივი კერია და ცარიელი ოთახი დახვედროდათ. მათი გაღიმებული სახის წარმოდგენამ მისი დარდისგან მოქუფრული სახე ოდნავ გაანათა. თვლებში დედობრივმა სხივმა გაუელვა და ფეხს აუჩქარა. ურნა და ცოცხი დააბინავა, კაშკაშა ფორმა გაიხადა და ოთახში დატოვა, თავშალი თმაზე შეისწორა და სახლისკენ გაფრინდა.

უჩუმრად შევიდა მინისპირად დადგმულ ოთახში, ზამთარში სიცივეს რომ ებრძოდა და ზაფხულში ხვატს. ბინა რომ არ ეთქმოდა, მაგრამ თავს მაინც ბედნიერად მიიჩნევდა ჭერი რომ ჰქონდა. ქირას დიდი გაჭირვებით იხდიდა, ზამთარში გათბობის ხარჯი ცალკე ემატებოდა და გაზაფხულამდე სულს ძლივს მიიყოლებდა ხოლმე. ამას თითქმის ყოველწელს ბავშვების თბილი ტანსაცმელი თუ ფეხსაცმელი ემატებოდა, იაფიანი და

რათქმაუნდა უხარისხო, ყოველ სეზონზე რომ საჭიროებდა გამოცვლას.

ფარდებჩამოფარებულ ოთახში ჯერ ისევ ბნელოდა. მოწყველულ ღუმელთან ფეხაკრეფით მიიპარა და სველი შეშის ანათლებით ცეცხლის დანთება გაჭირვებით სცადა. ბავშვების სკოლის ძველი რვეულები მოიშველია და რამდენიმე წუთში გაყინულ სახეზე სასიამოვნო სითბო იგრძნო. მურაბიანი ჩაისთვის ჩაიდანი შემოდგა და პატარებისთვის ყიყლიყოების მზადება დაიწყო. საკუთარ თავს პირობა მისცა რომ მომავალი წლის ზამთრისთვის, შეშის ღუმელს შეცვლიდა შედარებით უსაფრთხო, კატალიზური გამათბობლით. მცირე კომფორტთან ერთად გარემოს დაბინძურების პრევენციას მოახდენდა, რაც თავისთავად მისი თუ სხვების შვილების ჯანმრთელობას გულისხმობდა.

ნაზი კოცნითა და მშვიდი შეძახილებით წამორეკა ფეხზე ონავრები. ასაუზმა, სასკოლედ გამოაწყო და გზას გაუყენა. შინ დაბრუნებულმა მათი სიძველეშეპარული წინდები გადმოალაგა და კემსვას შეუდგა. დრო ისე გაეპარა ფიქრში ვერცკი შეამჩნია. მაგიდაზე მიგდებული ეკრანდამსხვრეული ტელეფონის რეკვამ შეაფხიზლა. სკოლიდან რეკავდნენ...

როგორ მივიდა ვერ იხსენებდა... ვერც ის, თუ როდის იკითხა შვილის მდგომარეობა და როგორ აღმოჩნდა მის საწოლთან პალატაში. ათასნაირ მიზეზში ჩაკარგული სხეული წამით ვერ იცნო, პატარა ძლივს შესამჩნევად სუნთქავდა. განაჩენი გამანადგურებლად ჟღერდა, ლეიკემია... კიდევ უფრო გამანადგურებლად სამკურნალო თანხები. ტრაგედიამ გააქცავა, მით უფრო ფიქრებმა. არ იქნებოდა თანხები, ვერ იცოცხლებდა ნაბოლარა. უფროსი სკოლაში დაავიწყდა, მეზობელმა მოუყვანა, მანანამ.

სოციალურ ქსელებში აკრეფილმა და ნასესხებმა თანხებმა სიზმარივით გაიქროლეს, სამეზობლოსა და ახლობლებისამაც ასევე. სოფლიდან მარტოხელა დედა ჩამოიყვანა, ბავშვს მიმხედავი ეყოლებოდა თავად ლუკმის ფული მაინც რომ გა-

მოემუშავებინა.

მანანამ, მეზობელმა, საუბარში შეაპარა, მხოლოდ მოგვიანებით გაიაზრა მისი ნათქვამი, საზღვარგარეთ ხომ არ წახვიდოდი გოგო?!..

\*\*\*

ნაძვისხეს ბოლო ბაფთა მიაბა და თვალცრემლიანმა უკან დაიხია, უკეთ რომ შეეხედა. ფერადი ნათურები თავბრუდამხვევად ციმციმებდნენ. ნეტავ, ჩემი შვილები ხედავდნენ, გულში სიმწრით გაიფიქრა.

– ეხლა, უკან დაიხიე და ეგ შუქები გამორთე! – ყურში უხეშად ჩაედვარა მკვეთრი იტალიურ-ტურინული აქცენტი. – დენი წერს!.

## ლევან ლორია



თოვლის ბაბუა და  
ღვთიური ნაწილაკი  
ანუ იცინის ის, ვინც  
ბოლოს იცინის

ლიტერატურა დედამ შე-  
მაყვარა, ზღაპრებით და თავის  
მოგონილი ან განაგონი ამ-  
ბებითაც. ვისაც ლიტერატურა  
უყვარს, არა მგონია ერთხელ  
მაინც თავად არ სცადოს ბედი.  
თუ მკითხველს მოეწონება, ერთს  
მაინც - ოდონდ უცხო უნდა  
იყოს, მეორედაც ცდი. ამ ცდა-  
ში ოთხი მოთხრობათა, ერთი  
პოეტური კრებული და ერთიც  
რომანიც დამიგროვდა. კონკურის  
ლილე ძალიან მიყვარს და ყო-  
ველთვის სიამოვნებით ვღებუ-  
ლობ მონაწილეობას, მაღლობა  
არასამთავრობო ორგანიზაცია  
„ენერგოეფექტურობის ცენტრი  
საქართველოს“ და ლიტერ-  
ატურულ პორტალ „ურაკ-  
პარაკ“-ს ნამდვილად საშუა-  
რსაქმეს აკეთებთ ლიტერატურ-  
ისთვისაც და დედამიწისთვისაც.

სატელეფონო ზარი  
ფიფქიათა სკოლა-  
ში ზუსტად თორ-  
მეტ საათსა და ცამეტ წუთზე  
დაფიქსირდა. პლაზმური ტელე-  
ფონით თოვლის ბაბუა რეკავდა.  
ეკრანზე მორიგე ფერია გამოჩნ-  
და უახლესი ტექნოლოგიით  
მიღებული იისფერ ფანტელები-  
ანი სამოსით, რომლის ტემ-  
პერატურას სპეციალური ჩიპი  
არეგულირებდა და ადამიანის  
სხეულის ტემპერატურასთან  
მიმართებაში ოპტიმალური იყო.

– გისმენთ!  
– უკვე შვიდი წუთია  
თქვენს გამოგზავნილ ფიფქიას  
ველოდები. იქნებ და მითხრათ  
სად არის?  
– უი, თოვლის ბაბუა,

საყვარელო, ფაფუკო და ფუმფულა წვერებით მოსილო, თქვენ  
ბრძანდებით?!

– ნეტა მე რომ ვრეკავ, სხვა ვინ უნდა იყოს?  
– რა გითხრათ, ჩემო კარგო, ეს ბოროტი რობოტები  
ყველგან ყველაფერს ხლართავენ! ფიფქია უკვე კარგად ხანია  
გამოფრინდა მფრინავი ეტლით!

– სად არის...  
ამის თქმაღა მოასწრო და კავშირი შეწყდა. უკვე დაიწყო...  
ეს იყო პირველი ფიქრი, რამაც თოვლის ბაბუას გაუთელვა. ისევ  
გადარეკა და აბონენტი მიუწვდომელიაო, ეკრანზე გამოჩე-  
ნილმა რობოტმა უპასუხა. ჩაცინების ხმაც გაიგო – დიახ, არ  
მოყურებია – რობოტი იცინოდა ცივი, გამყინავი სიცილით –  
ბოროტი რობოტი.

ორი ათას ორმოცდაათი წლის დადგომამდე თერთმეტი  
საათი და წუთებიღა იყო დარჩენილი. თოვლის ბაბუამ კვან-  
ტური სმარტ ტელევიზორი ჩართო და წარმოსახვითი პულტით  
არხების ცვლა დაიწყო მთელ მსოფლიოში უკლებლივ ყველა  
არხზე – გასართობი არხების ჩათვლით სპეციალურ საინფორ-  
მაციო გამოშვებას გადმოსცემდნენ. შინაარსი ყველგან ერთი  
და იგივე იყო: დედამიწას სასიცოცხლო ენერგია, უკანასკნელი  
მარაგი სიყვარულის ენურებოდა და შეიძლებოდა ამას მისი  
მზის გარშემო ბრუნვის სიჩქარის შენელება გამოეწვია, რასაც  
მოჰყვებოდა გლობალურ მასშტაბის კატაკლიზმები. ამას თან  
ერთვოდა გააქტიურებული ბოროტი რობოტები, რომლებიც  
ცდილობდნენ ადამიანებისთვის სიცოცხლე წამებად ექციათ.

ისარი სპეციალური ხელსაწყოზე, რომელიც დედამიწაზე  
არსებული სიყვარულის მარაგს აჩვენებდა, ჯერ კიდევ დადებ-  
ით ნიშნულთან იყო, თუმცა ეს ბოლო დღეები მისი მნიშვნე-  
ლობა კატასტროფულად კლებულობდა. სიყვარული ოდნავდა  
უსწრებდა სიძულვილს – სულ რამდენიმე გულით. ადამიანებს  
იმის წარმოდგენაც აშფოთებდათ და ზარავდათ, თუ რა მოხდე-  
ბოდა მაშინ როცა ხელსაწყოს ისარი ჯერ ნულთან და შემდეგ  
ნულს ქვემოთ, უგულობისკენ დაეშვებოდა.

სიყვარულის საზომ ერთეულად გული ოცდამეერთე საუკუნის ოციან წლებში დაადგინეს მსოფლიოს ქალაქთა მერების კონგრესზე, სადაც გლობალურ დათბობაზე და სხვა საფრთხეებზე იყო საუბარი. ქვეყნები თანდათან შიგანვის ძრავების გამოყენებისგან თავს იკავებდნენ და იყენებდნენ განახლებადი ენერგიების წყაროებს, რაც გარკვეულ შეღავათს აძლევდა და მცირეოდენი ამოსუნთქვის საშუალებას აძლევდა დედამიწას. თუმცა იმ წლებში დამატებით მსოფლიოს კოვიდ საშინელება დატყდა თავს. კონგრესზე ყველა დააფიქრა ქალაქ თელავის მერის სიტყვამ, მან პირდაპირ პროპორციულ სიდიდეებად ჩაითვალა დედამიწის გლობალური დათბობა და ადამიანის სულის გლობალური გაცივება. თოვლის ბაბუამაც თავის სიტყვაში, ერთ-ერთ უმთავრეს საფრთხედ ატმოსფეროს სითბური აირებით დაბინძურებასთან ერთად ადამიანის სულის დაბინძურებაც ახსენა და ამის ერთ-ერთ გამოვლინებად კოვიდვირუსი მოიყვანა, რომელიც ფართოდ გავრცელებული უსიყვარულობის ფონზე დამატებით აშორებდა და აცალკევებდა ადამიანებს.

– სიყვარული ქრება, მეგობრებო. ფრთხილად ვიყოთ. იქნებ ფიზიკოსებს ვკითხოთ, თუ ენერგია მუდმივია, სიყვარული რატომ არ არის მუდმივი? – ასე დაამთავრა თავის სიტყვა თოვლის ბაბუამ.

კონგრესზე გადანყვიტეს ვიდეო კონფერენცია მოენყოთ და დაკავშირებოდნენ ყველაზე ცნობილ ფიზიკოსებს. მათ თქვეს, ის რისი ერთეულიც არ ვიცით და საზომი ხელსაწყო არ გვაქვს, ვერ გავზომავთო და წინადადება შემოიტანეს შემოელოთ ახალი ფიზიკური სიდიდე – სიყვარული, რომელსაც ადრე მხოლოდ როგორც გრძნობას, ისე მოიხსნიებდნენ. შესაბამისად უნდა შექმნილიყო მისი გამზომი ხელსაწყოც. ეს ყველაფერი საშუალებას მისცემდა პლანეტა დედამიწაზე მცხოვრებთ გაემოეკვლიათ სიყვარულის რა მარაგს ფლობდა თითოეული ადამიანი, ორგანიზაცია და მთლიანად დედამიწა. ამის შემდეგ კონგრესზე შესვენება გამოცხადდა. ახალი ინიციატივა წამის

მეასედ ნაწილში უკვე მთელი დედამიწისთვის იყო ცნობილი. პროექტს ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა: განა შეიძლება სიყვარული გაიზომოს, ან გაზომილი და ანგარიშნარევი სიყვარული რაღა სიყვარული იქნებაო, – იძახდნენ ოპონენტები. ცალკე უნდა ვთქვათ, რომ ლიტერატორთა ნაწილმა „აუნონავი სიყვარულის პოეტები“-ს საზოგადოებაც კი დააფუძნეს, მაგრამ შესვენების შემდეგ წარმოთქმულმა თოვლის ბაბუას სიტყვამ ყველაზე აქტიური მოწინააღმდეგეებიც კი დაადუმა.

– მეგობრებო, მიხარია და მივესალმები, როცა განახლებადი ენერგიების წყაროებზე ვსაუბრობთ, მით უმეტეს მისასაღებელია, როცა კონგრესის დელეგატი საქართველოდან ამბობს ამას, სადაც ძირითადად საწვავის იმპორტირება უხდებათ და მისი ასტრონომილი ფასები მძიმე ტვირთად აწევს მოსახლეობას და ეს მაშინ, როცა ეს მზის, ქარის და მდინარეების ქვეყანა შეიძლება თავად გახდეს ენერგიების იმპორტიორი. დიახ დედამიწა თუ გვინდა გადარჩეს, სწრაფად უნდა გადავიდეთ განახლებად ენერგიის წყაროებზე, მაგრამ თქვენ როგორ ფიქრობთ, სიყვარული არ საჭიროებს განახლებას? გასაგებია, თქვენი კეთილშობილი ზრახვები, როცა ამბობთ, რომ სიყვარული არ იზომება, მაგრამ ყველანი ვთანხმდებით რომ ამ დაუნდობელ დროში, როცა სამყარო აავსო სისასტიკემ და სიძულვილმა, სიყვარულს გაფრთხილება სჭირდება. დიახ, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, სიყვარულს სჭირდება გაფრთხილება და დრო თუ გაქვთ, შემოიღია მილიონჯერ გავიმეორო ეს. დავსვით უბრალოდ კითხვა, რას სჭირდება გაფრთხილება? რა თქმა უნდა მას, რამაც შეიძლება მოიკლოს, ან სულაც დამთავრდეს, გაქრეს. მაშინ რატომღა გვეშინია გავზომოთ სიყვარული? ეს, დიდი ბოდიში ყველა ჩიტთან, მაგრამ გამოდის სირაქლემასავით სილაში თავები ჩავრგოთ და ამით პრობლემებსაც დავემალოთ და საკუთარ თავსაც?

ამ სიტყვებმა მსოფლიო ყველა მედია საშუალება მოიარა. ამის შემდეგ ყველაზე აქტიურ ანტიმზომელებსაც კი არავითარი არგუმენტი აღარ დარჩათ. სასწრაფოდ შეიქმნა ხელსაწყო გუ-

ლომეტრი, რომელიც ზუსტად ზომავდა სიყვარულის სიდიდეს ოჯახებში, ქუჩებში, სკოლებში და პარლამენტშიც კი. შემდეგ ეს ყველა მონაცემი იკრიბებოდა და საბოლოო ჯამში ზომა-ვდა დედამიწაზე სიყვარულის სიდიდეს. ხელსაწყო უფასოდ დაურიგდათ მერებს, მერები კი თავის მხრივ ასევე უფასოდ ურიგებდნენ როგორც ოჯახებს, ასევე ნემისმიერ მსურველს.

მაშინ პლანეტა დედამიწის მაცხოვრებლებმა სიყვარულის და სიკეთის უკანასკნელი ძალები მოიკრიფეს, ქვეყნებმა შეძლეს გაერთიანება საერთო საფრთხის წინააღმდეგ, მსოფლიოში შეწყდა ომები, შეიქმნა კოვიდვაქცინა და საფრთხემ ჩაიარა, თუმცა როგორც აღმოჩნდა დროებით. ორმოციან წლებში სიყვარულის დონემ კვლავ შესამჩნევად იკლო და ამას დაემატა მეორე საშიშროება, შეიძლებოდა დედამიწა ბოროტ რობოტთა ტერორისტულ ორგანიზაციის „ბორორობო“-ს ხელში გადასულიყო და მათ ომი დაეწყოთ არათუ ადამიანის, არამედ ყველა ცოცხალი არსების წინააღმდეგ. უკვე რამდენიმე ქვეყნის მუნიციპალიტეტებს სწორედ „ბორორობო“ მართავდა და ადამიანები სასწრაფოდ ტოვებდნენ იმ ადგილებს. ტელევიზორში აჩვენებდნენ ხალხს, რომლებიც დიდი რიგების გამო ამაოდ ცდილობდნენ თვითმფრინავების ტრაპებზე ასვლას. ჯერ-ჯერობით ბოროტი რობოტები მაინც უმცირესობაში იყვნენ, ამიტომ რაიმე რადიკალური ზომების მიღებას ერიდებოდნენ.

– არ არის გამორიცხული ფიფქიაც ბორორობომ ჩაიგდო ხელში, ვაფრთხილებდი ხო, ყველას ვაფრთხილებდი... – ამოი-ოხრა თოვლის ბაბუამ და თითქოს გულიც ამოატანა სიტყვებს. ტელევიზორი გამორთო. თითქოს ამას ელოდნენო, კარებზე ზარის ხმაც გაისმა. ნუთუ ეს ფიფქიაა?! – ჩაილაპარაკა და კარებისკენ წავიდა. წინასწარ ჭკვიანი კარის ეკრანს შეხედა. არავინ ჩანდა. ხო არ მომეყურა ზარის ხმაო, – გაიფიქრა, თუმცა კარები მაინც გააღო. კარებთან პატარა ბიჭი იდგა მეცხვარის ტყაპუჭით.

– თოვლის ბაბუა აქ ცხოვრობს? – იკითხა მან.

ცხოვრებაა ეს? – კინალამ წამოსცდა თოვლის ბა-ბუას. წლების წინ სადღაც გაგონილი ანეკდოტი გაახსენდა, მაგრამ ამას ხმამაღლა ბავშვთან ვერ იტყოდა. სამოსზე აკვირ-დებოდა მოსულს, რომელსაც ძველ საქართველოში საკმაოდ ხშირად იყენებდნენ.

– დიახ, პატარავ, აქ ცხოვრობს!

სხვის სამოსს რაღა ვუყურებო, მერელა გაახსენდა, შეს-აფერისი ფორმა რომ არ ეცვა – სპორტული ტანსაცმლით და საშინაო ფლოსტებით იყო. აბა ვის უანახავს თოვლის ბაბუა ფლოსტებით? შეეძლო ეთქვა მზარეული ვარ, ან თუნდაც მდი-ვანო, ან კარისკაციო და შემდეგ ტანსაცმელი გამოეცვალა, მაგრამ გამოვიდოდა, რომ ტყუილს იტყოდა. არა, ტყუილი არ სძულდა, როგორ შეიძლება თოვლის ბაბუას ვინმე სძულდეს, მაგრამ არ მოსწონდა, ნაკლებად უყვარდა მოკლეფეხებიანი და დიდ ღიპიანი ტყუილი, სულ ჭამაზე რომ ეჭირა თვალი და კუჭს იქით ვერ იხედებოდა. სიმაღლეს ვთქვთ ტყუილსაც დიდად არ მოსდიოდა თვალში თოვლის ბაბუა, მაგრამ არ ამ-ულავნებდა და რამდენჯერმე ფერიებს, რომლებსაც ყველასი სჯერავთ, თოვლის ბაბუასთან ათხოვნიდა, ჩართე საახალწლო პროგრამაში, აბა ერთი უწყინარი ტყუილი ვის რას დაუშავებს, შეიძლება გამოსწორების შანსიც მივცეთო, მაგრამ თოვლის ბაბუა სასტიკ უარზე იყო ყოველთვის: – „კუდი ძაღლისა არ განიმართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“, არადა არა, არ მინდა პატარები ტყუილს შეეჩვიონო, – ამბობდა.

– ვერ დაუძახებთ?

– დიახ, დიახ.... იცით პატარავ...

– ვიცი, მე მივხვდი თქვენ თოვლის ბაბუა ხართ! სათხ-ოვარი მაქვს, ჩემი მეგობარი ცუდად არის, მის გამოჯანმრ-თელებაში დახმარება მინდა გთხოვოთ! ამ დილით მითხრა, ნეტა თოვლის ბაბუა და ფიფქია თუ მოვლენ და ახალ წელს თუ მოგვილოცავენ, რა მაგარი იქნება, თან ფიფქიასთან ვალსსაც ვიცეკვებდიო. თქვენ და ფიფქია თუ ახალ წელს მიულოცავთ, დარწმუნებული ვარ კარგად გახდება!

– ვეცდები შენი საახალწლოს სურვილი შევასრულო, ფიფქიას ველოდები, წუთი-წუთზე უნდა მოვიდეს. ოღონდ უნდა მითხრა ვინა არის ავად, სახელი და გვარი უნდა დამინერო და სად წევს, რომელ საავადმყოფოშია?

– ის ადამიანი არ არის, ნაწილაკია?

თოვლის ბაბუამ თავიდან იფიქრა მომეყურაო, არადა ქარიც კი არ ზუზუნებდა, როგორც ჩვეულებრივ დეკემბრის ბოლოს იცის. თოვდა. ფანტელები, რომლებსაც საერთო ნაკლებად აინტერესებდათ სამყაროში მიმდინარე მოვლენები, წინასახალწლო ცეკვებს რეპეტიციობდნენ. სახლში კი ანთებული ბუხარი ოდნავ გამოსცემდა ხმას, ნეკერჩხლის შეშა ღულუნით ინვოდა და სინათლითა და სითბოთი ავსებდა ოთახს.

– რა ბრძანეთ?

– დიახ, ნაწილაკია ცუდად, ჰიგის ღვთიური ნაწილაკი როგორც მას ფიზიკოსები უწოდებენ.

კიდევ კარგი, ახლა ყანწი არ მიჭირავს ხელში, თორემ აუცილებლად გამივარდებოდა, ან მთლად უარესი კიდევ კარგი რომელიმე ცეცხლსასროლ იარაღს არ ვატარებ, ისიც აუცილებლად გამივარდებოდაო, – გაიფიქრა თოვლის ბაბუამ და მერელა მოისაზრა სტუმარი სახლში შეეპატიჟებინა.

– მობრძანდით, ახალგაზრდა მეგობარო, მობრძანდით! მაპატიეთ, რომ არც კი შემოგიპატიჟეთ, სახლში გავაგრძელოთ საუბარი და თან ყველაფერი კარგად ამიხსენით!

თან დაბნეული იყო უცნაური ბავშვის სტუმრობით, თან შერცხვა – ამდენ ხანს კარებთან ესაუბრებოდა პატარას. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ასეთი უცნაური სათხოვარით არ ახსოვდა ვინმეს მისთვის მოემართა.

ბიჭი ანთებულ ბუხართან მდგარ საახალწლო ნუგბარით სავსე მაგიდასთან მიიპატიჟა. მერე მოიბოდიშა, ახლაც მოვწესრიგდები და საუბარი მერე გავაგრძელოთ, შენ მანამდე გოზინაყით და ჩურჩხელებით ჩაიტკბარუნე ყელიო. თუმცა პატარას ისეთი მოწყვნილი მზერა ჰქონდა, გაიფიქრა, ახლა გოზინაყის და ჩურჩხელების ხსენება ნამდვილად უადგილო

იყო. მართლაც, სტუმარს საერთოდ ყურადღება არ მიუქცევია სასუსნავისთვის. უხერხულად ჩამოჯდა სავარძელში და ბუხარში მოლულუნე ცეცხლს მიაპყრო სევდიანი მზერა.

თოვლის ბაბუა მალევე დაბრუნდა თეთრ, ქართულ ჩოხაში გამონწყობილი.

– ანუ ნაწილაკი?

– დიახ!

– ხო, მაპატიეთ, ახალგაზრდა მეგობარო, როგორ მოგმართოთ?

– გიორგი!

– ანუ, გიორგი, თქვენ ამბობთ ნაწილაკი არის ცუდად, მაგრამ როგორ მიხვდით?

– თვითონ მითხრა!

– ანუ თქვენ ხედავთ მას?

– კი, რა თქმა უნდა!

– ნაწილაკის ზომა იმდენად მცირეა, რომ მათი დანახვა შეუიარაღებელი თვალით არვის არ ენიფება ხელთ და თქვენ ამბობთ რომ ის გესაუბრებათ კიდევ?

– კი, მესაუბრება!

– ან, მოიცათ, მოცათ.. ნაწილაკი საუბრობს კიდევ, ეს ხო შეუძლებელია?!

– მე ხომ მესაუბრება, ანუ შესაძლებელია! – თქვა ბიჭმა და გაიცინა წრფელი ბავშვური სიცილით. თოვლის ბაბუასაც გაეღიმა, გულს მოეფონა. საოცარია, სიცილიც კი როგორ შეიძლება განსხვავებული იყოსო, – გაიფიქრა. ბოროტი რობოტის სიცილი გაახსენდა, მათ გადასწვდა ფიქრით: „ღირა ბიენ ქუი რირა ლე დერნირე“-ო. – ლათინების ანდაზაც გაიხსენა.

– იცინის ის, ვინც ბოლო იცინის! – თქვა უცებ ბიჭმა. წუთუ უკვე ხმამაღლა დავინწყე ფიქრიო, – გაუელვა გონებაში თოვლის ბაბუას, მაგრამ უკვე არაფერი აღარ უკვირდა.

– დიახ, დიახ, ყველაფერი შესაძლებელია, როგორც ამობენ, „არასოდეს არ ვთქვით არასოდეს“!

მაგრამ მე დავინახავ მას, რომ ახალი წელი მუჟულოცო?!

– კი, ზუსტად თორმეტზე დღეს, საახანალო კარნავალზე დარბაზში შემოვა!

თოვლის ბაბუას თითქოს რაღაც გაახსენდა უცებ.

– ღმერთო დიდებულო, როგორ ვერ მიხვდით? ანუ ჰიგისი ღვთიური ნაწილაკია ცუდად? ანუ თურმე რაშია საქმე. გამახსენდა, როცა სიყვარულის საზომი ხელსაწყო მივიღეთ, მახსოვს ერთ წერილში მადლობას მიხდიდა. მაშინ ამას ყურადღება არ მივაქციე. ერთი მოცლილი ფიზიკოსის ხუმრობად ჩავთვალე. ანუ სიყვარულის ნაწილაკი, ღვთიური ნაწილაკია ცუდად. აი, რატომ ეწურება დედამიწას სიყვარულის მარაგი! ახლავე უნდა მოვიძიო ის წერილი, როგორც მახსოვს მისამართიც ეწერა. დიახ, გამახსენდა ელემენტალურ ნაწილაკთა სოფელი.

– კი, ნამდვილად იქ უნდა წავიდეთ!

– სასწრაფოდ უნდა გავეშუროთ! ნეტა ფიფქია სად არის ამდენ ხანს?

ამ დროს კარებზე კვლავ ზარის ხმა გაისმა. თოვლის ბაბუამ კარებს გახედა. ეკრანზე მოჩანდა გოგონა დახეული კაბით ტალახში ამოსვრილი.

– კონკია?! კი მაგრამ ფიფქია არ უნდა მოსულიყო? ისევ ეს ბოროტი რობოტები, ანუ ყველაფერი აურიეს, მაცალონ! იცინის ის ვინც ბოლო იცინის?! – ჩაილაპარაკა შემოსასვლელისკენ წასულმა თოვლის ბაბუამ და კარი გააღო. ოთახში შეცივებული გოგონა შემოვიდა.

– კონკია?! მოდი, გათბი! ისევ გაგანვალა დედინაცვალმა? ხო გავაფრთხილე, რომ წესიერად მოგპყრობოდა, მოდი, მოდი!

– თოვლის ბაბუა, კონკია კი არა, ფიფქია ვარ!

– ვაჰ, ფიფქია, ჩემო კარგო, მაპატიე რომ ვერ გიცანი, ეს რა მოგსვლია?!

– ჩემს მფრინავ ეტლს თავს დასხნენ რობოტები, შუაგულ ტყეში ავარიული დაშვებაც კი მომიწია., ხმას არ იღებდნენ, მხოლოდ დამცინავად იღიმოდნენ. მერე რობოტი პატრულები დამეხმარნენ. არც კი ვიცი, საერთოდ თუ მოვიდოდი, ისინი რომ არა, ძლივს შევძელი გზის გაგრძელება.

– ბოროტი რობოტები და კეთილი რობოტები, თუმცა ჯერ კიდევ სიკეთე იმარჯვებს! – ჩაილაპარაკა თოვლის ბაბუამ და სიყვარულის მაჩვენებელ გულომეტრს შეხედა ისევ – სიყვარულის დონე ისევ შემცირებულიყო, თუმცა ჯერ კიდევ ნულს ზემოთ იყო ისარი.

– ფიფქია, შენს ოთახში ცხელი შხაპი მიიღე და გარდერობში ყველაზე საუკეთესო ახალი კაბა აარჩიე! სასწრაფოდ მივდივართ ელემენტალურ ნაწილაკთა სოფელში, სიყვარულის ნაწილაკია ცუდად!

– თოვლის ბაბუა, დალიე!

– ეჰ, ჩემო კარგო, დავლიე კი არა მთელი დღე ლუკმა არ ჩამსვლია პირში. რაღას ელოდები? დიდი მისია გვაქვს, ჩვენ სამყარო უნდა გადავარჩინოთ – ღვთიურ ნაწილაკს უნდა ახალი წელი მივულოცოთ! მერე გზაში მოგიყვებით ყველაფერს! ხო, პარდონ, არც კი გაგაცანით ერთმანეთი, ფიფქია, ეს გიორგია. გიორგი, ეს კი ფიფქია.

– სასიამოვნოა! – ლამის ერთდროულად თქვეს ფიფქიამ და გიორგიმ.

ფიფქია ოთახისკენ მიდიოდა და თან გულში ბრაზობდა, კი მაგრამ 31 დეკემბერს თორმეტ საათამდე საერთოდ ერთხელ არ მახსოვს სასმელი დაელიოს! რა ელემენტალურ ნაწილაკებზე მესაუბრებოდა თოვლის ბაბუაო, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს.

თოვლის ბაბუას განკარგულებაში სპეციალური მფრინავი ეტლი იყო, თუმცა ელემენტალური ნაწილაკების სოფლისკენ გიორგის ორცხენიანი მარხილით დაადგენ გზას. როგორც გიორგიმ თქვა, ეტლით გაფრენის შემთხვევაში დიდი იყო ალბათობა იმისა, რომ ბოროტ რობოტებს გზა გადაეჭრათ. თოვლის ბაბუას საქართველო ნაბიჯ–ნაბიჯ ჰქონდა შემოვლილი, მაგრამ იქ სადაც მარხილმა გადაუხვია საერთოდ გზა თუ იყო, არც კი იცოდა. ამასობაში ფიფქიასაც მოუყვნენ, თუ სად მიდიოდნენ სტუმრად. ფიფქიას ელემენტალური ნაწილაკების ფიზიკა დიდად არ იტაცებდა, ატომურმა ფიზიკამ სკოლაში მომიღო ბოლო, ახლა კიდევ ამაზე ფიქრი მინდოდაო, ან, კარ-

გი, ვთქვით და თოვლის ბაბუა დათვრა, ეს პატარ ბავშვი რა ნაწილაკებზე მესაუბრებო, – დარდობდა. თუმცა სიმართლე რომ ვთქვით ისიც წუხდა სამყაროს ბედზე – იქნებ და მართლა დიდი მისია მეკისრებო და რადგანაც გულჩვილი ფიფქია იყო, ცრემლების გადმოყრასაც კი აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა – ახალი კაბა გამიფუჭდებაო.

ისევ ლამაზად თოვდა. გზის ორივე მხარეს თოვლით დაბარდნილი ხეები ჩანდა. თოვლის ფანტელებმა, რა თქმა უნდა იცოდნენ თოვლის ბაბუა მოდისო და თავმრუდამხვევი ცეკვებით აცილებდნენ მარხილს. ვერ იტყვი, რომ მათ არ ადარდებდათ სამყაროს ბედი, უბრალოდ ისე სწრაფად ხდებოდა ცვლილებები, შესაძლო საფრთხეების შესახებ ჯერ არაფერი გაეგოთ.

გზაში რაიმე ინციდენტს ადგილი არ ჰქონია. თორმეტს რამდენიმე წუთი აკლდა ათასფერი შუქებით გაჩირაღდებულ ეზოს რომ მიაღწენ. ჭიშკარი ავტომატურად გაიღო. ეზოში ძალიან ლამაზი სახლი იდგა, ფართე ფანჯრებით, ათასგვარი ორნამენტებით და საახალწლო მორთულობებით დამშვენებული. ერთი რაც გაუკვირდა თოვლის ბაბუას, ის იყო, სახლს ბუხარი არ ჰქონდა.

- თოვლის ბაბუა, გიკვირს ალბათ ბუხარს რომ ვერ ხედავ?
- კი, გიორგი, რაღა დაგიმალო და მიკვირს?
- ამ სახლს ზამთარში დედამიწის სითბო ათბობს, ზაფხულში კი აგრილებს. სპეციალური მოწყობილობა, რომელიც ძვირი არ ჯდება და „კანადური ჭა“ ჰქვია. ვიცი თქვენ როგორ წუხართ დედამიწის ბედზე, არავითარი მავნე გამონაბოლქვი არ არსებობს. ჯერ-ჯერობით დედამიწაზე ფართოდ არ იყენებენ. თუმცა კანადაში და საფრანგეთში უკვე ბევრი სახლი ამ პრინციპით თბება და გრილდება.

თოვლის ბაბუასაც გაგონილი ჰქონდა მსგავსი სახლების შესახებ, წუხდა რატომ გამორჩაო, ნეტა ამ ყველაფერმა კარგად ჩაიაროს, მომავალ კონგრესზე აუცილებლად უნდა დავაყენო საკითხი, რომ მსგავსი ეკოლოგიური სახლები მთელ დედამიწაზე რაც შეიძლება მეტი ააგონ, ოღონდ მთავარი

ახლა გადავრჩეთო.

– კარგი იქნება თუ იყალთოს საბავშვო ბაღებში ამ ტექნოლოგიას დავნერგავთ, ძველ ახალ წელს აუცილებლად იყალთოს უნდა ვენვიოთ! – გადაულაპარაკა ფიფქიას.

ამასობაში სახლს მიუახლოვდნენ. ფართო ფანჯრებში ჩანდნენ მუშკეტერების ფორმაში გამოწყობილი კვარკები და ზოროს ფორმით აღკაზმული მეზონები. ფოტონების ანსამბლი ჯონ ლენონის საშობაო სიმღერას „So this iz christmas“ ასრულებდა. იქვე ლებტონები, ადრონები და მეზონები მიმოდიოდნენ. ფანჯარასთან პროტონი ელექტრონს უმტკიცებდა რაღაცას. დარბაზში მხოლოდ ჰიგსის ღვთიური ნაწილაკი არ ჩანდა არსად. მერე ყველამ ერთად ათვლა დაიწყო: ათი... ცხრა..

მარხილიდან გადმოვიდნენ და სახლის კიბეებს აუყვნენ. გიორგის ტყაპუჭი უცებ ოქროსფრად შეფერადდა და ზედ ლამაზი ციფრებით ორი ათას ორმოცდაათი გამოესახა.

- ოჰ, ახალი წელი? – თქვა ფიფქიამ.
- მატყუარა ახალი წელი?! – გაიფიქრა თოვლის ბაბუამ.
- თოვლის ბაბუა, არ გამიწყრეთ, სიმართლე რომ მეთქვა, იმ წამსვე ჩვენთან ბოროტი რობოტები გამოჩნდებოდნენ და შეიძლებოდა მათ ხელი შეეშალათ, ნუ მიწყენთ ხო?
- რა გაეწყობა, არ გინწყენ? – თქვა თოვლის ბაბუამ, თან გაიფიქრა, იმედია ამ ამბავს ის მოკლევადიან ტყუილი ვერ გაიგებსო.

ამასობაში საკარნავალო დარბაზში ელემენტალური ნაწილაკები თვლას აგრძელებდნენ. სამი... ორი... ერთი... წამიც და ცა ულამაზესმა ფეიერვერკებმა გაანათეს ... ფოტონების ანსამბლმა მრავალფეროვანი წამოიწყო. ზუსტად ამ დროს გაიღო კარები და პირველი დარბაზში ახალ წლად ქცეული გიორგი შევიდა, მას ფიფქია და მხარზე საჩუქრებით სავსე ხურჯინით თოვლის ბაბუა შეყვა. სწორედ ამ დროს დარბაზის მოპირდაპირე მხარეს პატარა ოქროსთმიანი ბიჭი გამოჩნდა, მოწყვნილი იყო, ისეთი ნაბიჯებით მოდიოდა, გეგონებოდათ სულ ახლახან ისწავლა სიარულიო, მაგრამ როგორც კი ახალი წელი, თოვლის

ბაბუა და ფიფქია შენიშნა, „მოსულანო,“ – დაიძახა, სახეზე ბედნიერი ღიმილი გამოესახა და მათკენ გაიქცა. ახლოს რომ მივიდა, ჯერ გიორგი-ახალ წელს დაურტყა ბავშვურად ხელი ხელზე, მერე თოვლის ბაბუას ჩაეხუტა. ამასობაში ფოტონების ანსამბლმა მრავალჯამიერი დაასრულა და დარბაზი იოჰან შტრაუსის ვალსის მელოდიებმა აავსო. ჰიგსის ნაწილაკმა გალანტურად დაუკრა თავი ფიფქიას. ფიფქიამაც სიამოვნებით მიიღო გამონკვევა. ცეკვავდა, თან ცრემლები მოსდიოდა და ახალ კაბას უსველებდა, თუმცა ამას აღარ ნაღვლობდა – ერთს ნატრობდა მხოლოდ, ღმერთო, ეს ყველაფერი ახლა კვახებად არ გადაიქცესო.

ცეკვა რომ დამთავრდა, ნაწილაკები ყველანი თოვლის ბაბუას შემოეხვივნენ, ისიც ყველას საჩუქრებს ურიგებდა. ამასობაში დარბაზში დიდ ეკრანზე რომელიღაც არხის სპეციალური საინფორმაციო გამოშვება ჩაირთო. დიქტორი გაღიმებული და ბედნიერი ყველას ულოცავდა, ეს ბოლო წამებია ისე გაიზარდა დედამიწაზე სიყვარულის მარაგი, საფრთხე აღარ გვემუქრება და დამატებით გვინდა გაცნობოთ, ორგანიზაცია „ბორორობო“-მ თვითლიკვიდაცია გამოაცხადა, თვითონ რობოტები კი ჯართის ჩამბარებულ პუნქტებთან მიდიან და ჯართად ბარდებიან, ეს რა ბედნიერი ახალი წელი გვითენდებაო.

„იციანის ის ვინც, ბოლოს იცინოსო“, – გადაულაპარაკა გაღიმებულმა და ბედნიერმა ჰიგსის ღვთიურმა ნაწილაკმა თოვლის ბაბუას, ფიფქიას და გიორგი-ახალ წელს. თოვლის ბაბუას მაშინლა გაახსენდა სიყვარულის საზომი ხელსაწყო, გულომეტრი, რომელსაც სულ თან ატარებდა, თუმცა არც კი დაუხედავს, სიხარულით გაცისკროვნებულ ღვთიურ ნაწილაკს უყურებდა და უბრალოდ იგრძნო დედამიწაზე და მთელ სამყაროში იმდენჯერ იყო მომატებული სიყვარულის ოდენობა, კიდევ მრავალი ათასი წელი სიცოცხლეს საფრთხე ვერ დაემუქრებოდა...

## მზია თვალახიშვილი



### პარსკვლავიჭუნა და პარსკვლავმოგონა

უსოვარ დროს, რომლის შესახებაც მხოლოდ ლეგენდები შემოგვრჩა, საქართველოს მეფეებს საინტერესო ტრადიცია ჰქონიათ, ცოლად მშვენიერი და კეთილი ქალწულები მოჰყავდათ. ტახტის მემკვიდრე მუხლჩაუხრელად დაეძებდა ღირსეულ სადედოფლოს. გოგონა უნდა ყოფილიყო განსაკუთრებული სიკეთით გამორჩეული და ზუსტად ისეთი განმასხვავებელი ნიშანი ჰქონოდა, როგორიც მომავალ მეფეს ჰქონდა. ეს შეიძლება ყოფილიყო ლამაზი ხალი სახეზე, ან თმის შეფერილი ხალი, ან სრულიად უჩვეულო იისფერი თვალები, როგორიც ჩვენს თხრობაში ექნებათ მეფესა და დედო-

„ვარ ქართველი მწერალი და მხატვარი მზია თვალახიშვილი, ვცხოვრობ ბელგიაში. საქართველოს ენერგოეფექტურობის ცენტრის ინიციატივით ჩატარებული ლიტერატურული კონკურსი „ლილე“ ხელს უწყობს ენერგოეფექტური ტექნოლოგიების ფართო მკითხველისთვის მხატვრული ნაწარმოებების სახით გაცნობას. ენერგოეფექტური ტექნოლოგიები კი კაცობრიობის მომავალია. ასე და ამრიგად, მწერლებსაც შეგვაქვს ჩვენი წვლილი ამ კეთილშობილ საქმეში.“

ფალს, ან მზისფერი თმა და ა.შ. უფლისწული საცოლეს მთელ სამშობლოში დაეძებდა, პოულობდა და ქორწინდებოდა მასზე, ისინი ყველასგან განსხვავებულ ლამაზ წყვილს ქმნიდნენ და ცხოვრებას სიკეთესა და ქველმოქმედებაში ატარებდნენ.

იისფერთვალემა მეფე-დედოფალი დიდხანს ელოდა შვილს, თითქმის იმედიც გადაეწურათ, როცა სრულიად მოულოდნელად დედოფალი ორსულად აღმოჩნდა და ცხრა თვის თავზე, ზუსტად 25 დეკემბერს, ბიჭიც გააჩინა, თანაც როგორი ბიჭი, შუბლზე ოქროსვარსკვლავიანი. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, თან მემკვიდრე დაიბადა, თან საახალწლო-საშობაოდ და თანაც ასეთი გამორჩეული. ოქროსვარსკვლავიანი ჩვილის ამბავი მთელ ქვეყნიერებას მოედო. საიდან აღარ მოდიოდნენ კეთილშობილი სტუმრები და რა საჩუქრები აღარ მოჰქონდათ, ოღონდ თვალი შეევლოთ სასწაული ჩვილისთვის.

ბიჭს ვარსკვლავბიჭუნა დაარქვეს.

შორს, შორს, პატარა სოფელ იყალთოში, ზუსტად 25 დეკემბერს, იმავე საათსა და წუთზე ერთი ღარიბი გლეხის ოჯახში შუბლზე ოქროსვარსკვლავიანი გოგონა დაიბადა. მშობლები შეცბუნდნენ ასეთი მშვენიერი ჩვილის დაბადებით და ოქროსვარსკვლავის ამბავი ყველას დაუმაღეს. ჩვილს ისე ახვევდნენ, რომ არასოდეს უჩანდა შუბლი. ასეც ზრდიდნენ, ნაირფერ თავსაფარს მოახვევდნენ და გაუშვებდნენ სათამაშოდ. ისეთი ლამაზი იყო, რომ თავსაფარიანიც ყველას სჯობდა.

იმ უხსოვარ დროს იყალთო სახელგანთქმული იყო თავისი აკადემიით, მაგრამ იყალთოში მხოლოდ აკადემია კი არ იყო, არამედ საბავშვო ბაღიც არსებობდა. აკადემიის სწავლულები ამ ბაღის აღსაზრდელების მეურვეები იყვნენ და განსაკუთრებით ზრუნავდნენ მათ კეთილდღეობაზე.

ჰოდა, ბევრი იფიქრეს, თუ ცოტა იფიქრეს, სწავლულებმა მზის სინათლის გამტარები მოიფიქრეს. ჯერ ნახაზები შექმნეს, შემდეგ თვითონვე დაამზადეს ეს გამტარები, დაამაგრეს შენობის სახურავზე და მოხდა სასწაული, განათდა და გაჩახჩახდა ნაგებობა. არც ეს იკმარეს და მზის მცხუნვარება წყლის გამაცხ-

ელეზად გარდაქმნეს, ამ დანადგარის წყალობით საბავშვო ბაღში მუდმივად იყო თბილი წყალი.

ამის შემდეგ იყალთოს აკადემიკოსებმა, ბაღის შენობის ადგილობრივი ნედლეულით გათბობის მიზნით, სასოფლო-სამეურნეო ნარჩენებს მიაქციეს ყურადღება. განსაკუთრებით დაინტერესდნენ ვენახის ნასხლავით და ამ საქვეყნოდ ცნობილმა მოაზროვნეებმა წალმის დაქუცმაცება და მასზე დაფუძნებული ისეთი გათბობის ქართული სისტემა შექმნეს, რომელმაც ბაღის შენობა მთელი ზამთრის განმავლობაში გაათბო. საჭირო იყო სითბოს ხანგრძლივად შენარჩუნება, ამბავიც იზრუნეს და შენობის სხვენი და კედლები მათივე გამოგონებული მასალით დაათბუნეს,

სწავლულების ამ გამოგონებების ამბავმა სასახლემდეც მიაღწია. მეფემ თავისთან იხმო ისინი და სასახლის სახურავზე მზის გამტარების დამაგრება უბრძანა. ასეც მოიქცნენ. განათდა და გაბრღვიალდა სასახლე. ახლადგამოგონებულმა დანადგარმა კი თბილი წყლით უზრუნველყო სამეფო ოჯახი.

ვენახის ნასხლავზე შექმნილმა ქართულმა სისტემამ თითქმის შეუძლებელი შეძლო და უზარმაზარი, გაყინული სასახლე გაათბო, განსაკუთრებით გაღულუნდა უფლისწულის ოთახი. დათბუნებული კედლების წყალობით კი ჩვილის ოთახის განიავებისასაც ნარჩუნდებოდა საკმარისი სითბო.

ამ გამოგონებებით ევროპის მონარქები დაინტერესდნენ და ქართველ სწავლულებს დამსახურებული ჯილდო გადასცეს.

ვარსკვლავიან გოგონას ძალიან უყვარდა საბავშვო ბაღი და ბაღის მეგობრები. ის განსაკუთრებული სიკეთით გამოირჩეოდა, ყველას ეხმარებოდა. ზოგჯერ მეზობლები სიცილით ეტყოდნენ ხოლმე:

– იცოდე, დაიჩაგრები ეგეთი კეთილიო.

იზრდებოდა და კიდევ უფრო მშვენიდებოდა. ხელმარჯვეც იყო, ქსოვდა, ქარგავდა, კერავდა.

– ხელოვნება გადაგვარჩენსო, – ეუბნებოდა გოგონებს და მათაც ასწავლიდა ხელგარჯილობას.

ერთხელაც ერთმა მოხეტიალე მსახიობმა ჩამოიარა და ბავშვებს ოქროსვარსკვლავიანი მეფისწულის ამბავი უამბო. მას შემდეგ ვარსკვლავგოგონა სულ მასზე ოცნებობდა. ჰო, დამავიწყდა მეთქვა, რომ გოგონას ვარსკვლავგოგონა დაარქვეს მშობლებმა, მოკლედ კი ვარსკვლავს ეძახდნენ.

როცა მეფისწული სრულწლოვანი გახდა, მოისურვა საცოლის შერჩევა, უბრალოს ვერავის იგუებდა, ტრადიციისამებრ შუბლზე ვარსკვლავგაბრწყინებული გოგონა უნდა ეპოვა.

ერთ დღესაც მოახტა თავის ქათქათა ცხენს და გაუდგა გზას. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მიადგა ერთ ბეხრეკ დედაბერს. დედაბერი კართან ჩამომჯდარიყო და გზას გასცქეროდა. დაინახა შუბლზე ვარსკვლავაციმციმებული ჭაბუკი და შესძახა:

– მე ვიცი, შენ ვისაც ეძებო. ჩამოქვეითდი, შემოდი და გაჩვენებო.

შევიდა მეფისწული დედაბრის აბლაბუდებიან სახლში და რას ხედავს?! ერთ კუთხეში ყვავი ზის, მეორეში – ბუ. ხოლო აბლაბუდებზე თავდაყირა კონწილობენ ლამურები. დედაბერმა ხელით გადამინდა ბინძური მაგიდა და ყველაფერი იატაკზე მოისროლა, დადგა სპილენძის ფართო ლანგარი, ზედ წითელი, ლაჟღაჟა ვაშლი დააგორა და უთხრა, შეხედეო. ვაჟი დააკვირდა და უცებ ლანგარზე ულამაზესი, შუბლზე ვარსკვლავგაბრწყინებული ქალწული დაინახა.

– აი, ამას ეძებ შენო, – უთხრა დედაბერმა.

– ჰო, ამას ვეძებ, შესძახა გახარებულმა ახალგაზრდამ, – მიმასწავლე გზაო. დედაბერმა ჩაიქირქილა:

– ეგ გოგონა იმ სოფელში ცხოვრობს, რომელშიც მსოფლიოში ყველაზე ლამაზი გვირილების მინდვრებიაო.

– რასაც ისურვებ ყველაფერს აგისრულებ, ოღონდ გზა მიმასწავლეო, – სთხოვა მეფისწულმა.

დედაბერმა ისევ ჩაიქირქილა, გამოიყვანა გარეთ და უთხრა:

– ამ ყვავს გაჰყევი, დევთან მიგიყვანს, და დანარჩენს დევი გეტყვისო.

გაფრინდა ყვავი და წულმაც აფრინა ცხენი. დიდხანს იარეს თუ ცოტახანს, მიადგნენ დევის გამოქვაბულს. ყვავმა ერთი დაიჩხავლა და უკან გაფრინდა. გამობაჯბაჯდა დევი, შეხედა ვაჟს, მის შუქმფენ ვარსკვლავს და დაიროხროხა:

– მაშ, შენ ვარსკვლავგოგონას ეძებ?

– დიახ, ვეძებო, – უპასუხა ბიჭმა, – დამეხმარეო. – სთხოვა.

– შემოდი პური ვჭამოთო.

შევიდა ბიჭი დევთან და შემწვარი კალმახები მიირთვეს. როცა დანაყრდნენ, გამოვიდნენ ქვაბურიდან, დევმა ერთი კალმახიც გამოიყოლა. გამოქვაბულს გვერდზე მდინარე ჩაუდიოდა, ისროლა დევმა მდინარეში კალმახი და გაცოცხლდა თევზი.

– ამ კალმახს გაჰყევი მდინარის ნაპირით და ერთ ქონდრისკაცთან მიგიყვანს, ის ჩვენებური არ არის, უცხოტომელია, ძნელად გაგაგებინებს სათქმელს და კარგად მოუსმინე. აი, ის დაგეხმარებაო.

ამასობაში მთელ ქვეყანას მოედო უფლისწულის ამბავი, რომელიც მოგზაურობს და ვარსკვლავგოგონას დაეძებს. ყველა ლამაზი გოგონა შუბლზე ოქროსფერ ვარსკვლავს იხატავდა, რომ ბიჭს მოსწონებოდა.

მისდევდა ვარსკვლავბიჭუნა კალმახს და ქონდრისკაცის ნისქვილს მიადგა. კალმახმა ჰაერში გაისხმარტალა და ხმაურით ჩახტა წყალში, ქონდრისკაცმაც გამოიხედა. კალმახი კი დინების საწინააღმდეგოდ გაცურდა იქით, საიდანაც მოვიდა.

– შენა ვაშკვლავგოგოს იძებ? – ჰკითხა ქონდრისკაცმა.

– დიახ, ასეაო, – უპასუხა მეფისწულმა.

– გრძელა გუზა გამოგევლა. ან პანი გირჩაო. სულ პირე-პირე იარე და გვირილაის უცხარ მინდორებს რომ მიადგე, იმ სოფელს იძიე შენი ბედა.

გადაუხადა მადლობა ბიჭმა და განაგრძო გზა. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მიადგა ულამაზეს გაქათქათებულ მინდორს. თავისი ქათქათა ცხენით შევარდა და სიამოვნებით გაილაღა ამ სილამაზეში. წინ სოფლის ქოხებიც გამოჩნდა. მიუახლოვდა უფლისწული და საყვირს ჩაჰბერა. მთელი მოსახლეობა

გამოიშალა.

– ჩემს საცოლეს ვეძებ და ყველა გასათხოვარი გოგონა მეჩვენოსო.

მშობლებმა ვარსკვლავგოგონა არ გაუშვეს.

– დაველოდოთ, რა იქნებაო.

ჩამწკრივდნენ გოგონები, ზოგს შუბლზე ოქროს ვარსკვლავი მიეხატა. ჩამოუარა უფლისწულმა ერთხელ, მეორედ, მესამედ, მაგრამ ვერ ნახა თავისი სანატრელი.

– ვინმე ხომ არ გამოგრჩათ, კიდეც ხომ არ არის ვინმე, ვინც აქ არ მოსულაო? – იკითხა წულმა.

– უი, ანას გოგო არ არის აქ, – თქვა ერთმა მოხუცმა. – ის სულ, ბავშვობიდან თავწაკრული დადის, ალბათ, თავის ტკივილები აქვს და თქვენი სწორი ვერ იქნებაო.

ის იყო მეფისწული უკან გაბრუნებას აპირებდა, იფიქრა, მომატყუეს და დამცინეს დედაბერმა, დევმა, ქონდრისკაცმაო და ცხენსაც შეახტა, რომ მოხუცმა სიცილით უთხრა:

– ისე, ანას გოგოს ვარსკვლავა ჰქვია და ძალიან კეთილიაო.

ამის გაგონებაზე ჩამოხტა ვაჟი ცხენიდან და ბრძანა:

– ანას გოგონა მომგვარეთო!

მოიყვანეს ვარსკვლავგოგონა, მოხსნა ბიჭმა თავსაფარი და გოგონას შუბლზე ულამაზესი ვარსკვლავი აციმციმდა. უფლისწულმა სიხარულით გადაიხარხარა:

– ვიპოვე ჩემი დედოფალიო!

ვარსკვლავგოგონამაც გაიცინა, მისი ნატვრაც ასრულდა. სტაცა უფლისწულმა საცოლეს ხელი, შემოისვა გვირილასავით ქათქათა ცხენზე და უმაღლესად გაჰქუსლა სასახლისკენ.

..... და იყო საქართველოში ლხინი

## თამარ ბოლქვაძე



### სხვა კრიმანჭული

ერთი სოფელია გური-  
აში, ზაფხულში რომ  
ცოცხლდება და ზამ-  
თარში ხსოვნაში რომ იძირება,  
გამოკეტილი სახლებით თუ ნა-  
სახლარებით, სოფლის ბოლოს  
ღელეთი, ახლა ნაგავსაყრელად  
რომ იქცა, ვისაც რა ეზედმეტა  
საკუთარ კარმიდამოში, ყველამ იქ რომ მიიტანა და დაყარა...  
ღელეს ენა რომ ჰქონდეს... თუმცა, ნაწვიმარზე ისე იცის ენის  
ამოდგმა, მტრისას... ერთი თუ ადიდდა, წამოიღებს იმ ნაგავს  
და კართან მიუტანს მის დამყრელს...

სოფლის განაპირას, გურიაში ცნობილი მოკრიმანჭუ-  
ლის, ალექსანდრე ბოლქვაძის ოდა სახლი იდგა, თვალეზალ-  
ამებული, მოჭრილ კოჭებით და კარგა ხნის გაუჭრილე-  
ბელი ჭიშკრით. ერთმა ღვთისნიერმა ნათესავმა მის ოჯახს  
შეატყობინა, თქვენს სახლკარს ყოველდღე ძარცვავენ და იქნებ,  
მიხედოთო. ჰოდა, ჩამოვიდა შვილიშვილი კარმიდამოს მისახე-  
დად. პანდემიის პიკზე, როცა დასაქმებულთა უმრავლესობა

თამარ ბოლქვაძე, პრო-  
ფესიით ჟურნალისტი,  
პროდიუსერი და ამ ორ პრო-  
ფესიასთან ვერ შეთავსებით  
-პოეტი! ლიტერატურულ  
საიტ „ურაკპარაკზე“ ჩემი  
ნიკია „თანანა“

დისტანციურ სამუშაოზე გადაიყვანეს, ძლივს გამოუჩნდა აქ ჩამოსვლის დრო და საშუალება. ერთხანობა ეჭვის თვალთ უყურებდნენ სოფლელები, – ეს აქ დიდხანს გამჩერებელი არ არის, ერთ-ორს წაიქეიფებს, ან კარგად დაბოლდება და კი გაუყვება მის გზასო, მაგრამ, ასე არ მოხდა. ჩამოვიდა, ერთი ორი დღე დაისვენა, მერე ყველა კუთხე-კუნჭული დაათვალიერა, სახლში ამბის მთხრობელი ნივთიც არ დაეტოვებინათ, ყველაფერი წაღებული დახვდა. გული დაწყდა გიორგის, არ ეგონა მთლად ასეთი ვითარება თუ დახვდებოდა... მერე ხელები დაიკაპინა, მუშა ხელიც იქირავა და დანგრეულის აღდგენას და ყველაფრის თავიდან შეძენას შეუდგა. სხვის ღობეზე თვალშე-სობილ მეზობლებს ხეხილის შვიდი ხე ძირში მოეჭრათ, მძიმე და უშნო კუნძები კი დაეტოვებინათ, მის გადასათრევად აბა, ვინ შეინუხებდა თავს. წყენაზე მეტად გული ეტკინა გიორგის, ბაბუის და ომში დაღუპული ბიძის დარგული იყო ის ნერგები, ახლა ნაყოფიც რომ უნდა მოეცა და ეზოში საჩრდილობელიც. ამ საქმის გარჩევა არ დაუნყია, ან ვინ ეტყოდა სიმართლეს... ტრაქტორით სათითაოდ ამოყარა კუნძები, ძლივს დააპო და შემად შეინახა.

ერთმა ადგილობრივმა ვასასიმ, ყველასი ყველაფერი რომ იცოდა, ჰკითხა ბიჭს, – ჩამოი, როის მიხვალო? – ამ ზამთარს აქ ვრჩებიო, – მიიღო პასუხად. ეს ამბავი ციმ-ციმ მოეფინა სოფელს. ამ ღრიჭობიან სახლში, კედლებში მუშტი რომ ეტე-ვა, როგორ უნდა იცხოვროს, ან რით უნდა გაათბოსო, – იკითხ-ეს ხნოვანმა კაცებმა. ბიჭის დაზვერვა რომ მორჩა, თან ისიც რომ დაინახეს, ბაბუის ფუძეს რა საგულდაგულოდ უვლიდა, სათითაოდ დაინყეს მასთან მოსაკითხით მისვლა, ზოგმა ჭაჭა მიუტანა, ზოგმა კურკანტელი, კორკიმელი და ამოლესილი ლობიო და ასე შედგა ორანახადი ოტკით თბილისელი ბიჭის ახლოს გაცნობა. ისიც გაიგეს, რომ უსაქმური არ იყო, ქალაქ-ში საკმაოდ კარგი სამსახურიც ჰქონდა და ამ კოვიდობისას, დისტანციურად მუშაობდა.

ტრიფოლიატის ღობეს ბაბუამისის მეგობარი, ცალყუ-

რა გედევანა მოადგა. ცალყურას იმიტომ ეძახდნენ, რომ, ბავშვობაში ხიდან ჩამოვარდა და ერთ წანვეტებულ ტოტზე დაეკიდა ყურით. მას შემდეგ, მოჭამა ჭირი ყურის ბიბილომ... ბიჭმა ეზოში შემოიპატიჟა, – კაი გამარჯობა შენი, აგი ყო-ლისფერი კაია, მარა, ამ ზამთარს რით აპირებ, გათბობას, ან ამ ღრიჭობიან სახლს სული რაფერ უნდა ჩუუდგაო? – ჯერ სახლს დავათბუნებ, რაც ამოსალესია ამოვლესავ, სახურავზე კი მზის პანელებს დავამონტაჟებ და ცხელი წყალიც მექნება და შუქიც. არც გაზს გამოვიყენებ და არც ელექტროგამათბო-ბელს, მერე ტყიდან ფიჩხს მოვიტან და ბუხარსაც დავანთებ და ღუმელსაც. – შენ, აბა გამოქვაბულში ცხოვრება გდომებია, ძამა, მაი პანელების მე აფერი ვიცი და ფიჩხის იმედად თუ ხარ, ძამია, თლად არ გეიფიჩხო, აქ იმფერი ნესტი იცის, ზამთარში ძვალსა და რბილში ატანს, გადმოი ხოლმე ჩემსას და შეშის ღულუნა „ფეჩთან“ კაი ნარდი ვითამაშოთ, ბაბუაშენი კი იყო კაი მონარდე, ვნახოთ, შენ რამდენად ილბალა ხარ, შენ შენი ამბავი მითხარი, მე ჩემსას მოვყობი და აგი ზამთარიც წავა მის გზაზეო. გადმოვალ თქვენსას, აბა, რას ვიზამ, სიცილით დააყოლა – იმედია, კამათელს ჭიქით არ გამაგორებინებო... ჩაეცინა გედევანას, აგერ შენ და აგერ აგი ზამთარიო -თქვა და გაკვირვებული გადავიდა ეზოდან, თან საკუთარ თავს ებუტბუტებოდა – თუ არც გაზს გამოვიყენებს და არც შეშას, რაფერ უნდა იცხოვროს, ნეტა, რას შობა იგი მზის პანელია თუ რაცხაო....

ბიჭმა ბაბუამისის ძველი „კოლხოზნიკი“ გამოიყვანა ფარდულიდან, ცოტა შეარემონტა, დიდი არაფერი სჭირდა, გასაკვირი ის იყო, სოფლის ქურდბაცაცებს დაუშლელი რომ დაეტოვებინათ. როგორც მოგვიანებით გაიგო, ამ მანქანას ადგილობრივი ავტორიტეტის შვილი გადაერჩინა სიკვდილს და მისი შიშით, ვინ მიეკარებოდა....

მოახტა ძველ კოლხოზნიკს გიორგი, სოფელი ლოთიც გაიყოლა ორი ბოთლი არყის საფასურად და მოადგა ტყეს. გზამკვლელობა კი გასწია ლოთმა, მაგრამ, ფიჩხის შეგროვება-

ში დახმარებაზე ხელები გაასავსავა, მაგდონი რომ შემეძლოს, ცოლშვილს კი არ გავყინავდი ამ ზამთარშიო... ასე იყო თუ ისე, ერთი კოლხოზნიკი ფიჩხი კი შეაგროვა ბიჭმა, ჩამოიტანა და იმ ღამეს ავარდა ფუტი ამდენი ხნის მიტოვებული სახლიდან. მეორე დღეს ყველა ნაპრალი ამოავსო, გასალესი გალესა და ჩამტვრეულ ფანჯრებს მინები ჩაუსვა. ახსოვდა ბაბუ „ზალა-ში“ ძველისძველ ბუხარს როგორ ანთებდა, კარგად გამომწვარ ორ აგურს ზედ ერთ შეშას დაადებდა, ცოტა ნავთს მიასხმდა, ნაუკიდებდა ცეცხლს და ღულუნებდა ბუხარი დიდხანს. სითბოსაც კარგა ხანს ინარჩუნებდა და არც შეშის დანახარჯი ჰქონდა დიდი.

დილით მეზობლებმა ბუხრიდან ამოსული კვამლი რომ დაინახეს, – ა, გაცოცხლდა კერია და ცხონდა ბაბუაშენის სულიო – თქვეს და სამგზობას დალოცეს ბიჭი.

გიორგიმ მეგობარს სთხოვა დახმარება, მზის პანელების დამონტაჟება მინდა და შენი კომპანიიდან დამახმარე სპეციალისტებიო. ჰოდა, ერთ მშვენიერ დილას მეზობლებმა ოდა სახლის სახურავზე დადგმული მზის პანელები იხილეს. სათითაოდ მოდიოდა ყველა მეზობელი მის სანახავად. აგი, რაია, ამით როგორ უნდა გაათბო სახლიო – ეკითხებოდნენ გიორგის. ისიც ყველაფერს უხსნიდა მეზობლებს მზის ენერგიის გამოყენების სიკეთეზე, რამდენ ვატიანი იყო ეს მზის ბატარეები, რამდენ პროცენტის ეფექტურობით და რა დანაზოგი გამოსდიოდა მის პატრონს. ერთი სიტყვით, მთელი შემეცნებით -საგანმანათლებლო ლექცია ჩაუტარა სოფელს, რას ნიშნავდა ენერგოეფექტურობა, რა შდეგების მომტანი იყო ადამიანისთვის ამდენი გაფრქვეული აირით დაბინძურებული გარემო და რას გვიქადდა გლობალური დათბობის საფრთხე! შედარებით შეძლებულმა მეზობლებმა – აგი მზის პანელები თუ ასეთი კაია, ჩვენც შევიძენო... მარაქაში კარის მეზობელი მართაც გაერია. – თუ ამფერი სასწაულია აგი სახურავზე დადგმული „ფანჯრები“, შენს გაზრდას, ხელზე გადამარონიე მაგიტ გაცხელებული წყალიო. მართამ ექსპერიმენტის შედეგები მსწრაფლ

და უმაღ აცნობა სამეზობლოს.

მამიდა მართა გვერდზე ეზოში ცხოვრობდა, სახურავ-ვდაფერდილ სახლში, ოთხმოცს მიტანებული, მარტოხელა იყო, ძველი სილამაზის კვალი ახლაც ეტყობოდა სწორ ნაკვეთებზე. შინაბერას დაძახება სწყინდა, საკუთარ თავს გაუთხოვარს უწოდებდა....ყველა მამიდა მართას ეძახდა, ყველას მამიდა იყო და იმიტომ! ბალახეულით წამლობაც იცოდა და მალამოს ტოლფასი შელოცვებიც. წყველა არ უყვარდა....მიუხედავად ასაკისა, არაფერზე დაგზარდებოდა. ისეთი მზადება იცოდა, ლხინისა თუ ჭირის სუფრაზე მხოლოდ ის იყო თავქალი. სახლის წინ, ლობის პირას ედგა ჩეჩმა. ადრე გურიაში შეძლება-გაჭირვება სწორედ ჩეჩმაზე შებმული კარით იზომებოდა. თუ ჯვალა იყო ჩამოფარებული, ე.ი. ნამეტანი გაჭირვებული იყო მისი პატრონი, თუ ხის კარი ჰქონდა – წელში გამართულად ითვლებოდა. მამიდა მართას ჩეჩმაზე, რა თქმა უნდა, ტილო ეკიდა. გიორგიმ მისი სახლის გამონაცვალ კარი დაუკიდა და საშვილიშვილოდ მოინადირა მართას გული. ამ ღონისძიების შემდეგ, გიორგის კეცზე გამომცხვარი ხაჭაპურით რომ გაუმასპინძლდა, ბიჭს ერთი საიდუმლო გაანდო. მისი ბაბუა ალექსანდრე ნაყვარება თურმე, მაგრამ ასე გაუმხელელ სიყვარულად დარჩა მის გულში.

– ნენა, აწი, საცაა მუა კალანდა და მე ვიცი და ჩემმა ქალობამ, იმფერ საკალანდო სუფრას გაგინყობ, არე კაცს რომ არ ექნება ამ სოფელში, ამას კ არ უნდა გიჩიოდე, მარა, ნამეტანი გამიჭირდა აგი ორი კაპიკი პენსია და რასაც გეტყვი, თუ ყოლისფერს მომიტან, ფარჩის სუფრას გაგიშლიო.

ტაროსი რომ შეიცვალა და გამოვიდა ამინდი, ბიჭმა ღელეს მიაშურა. შეკრიბა სოფლის ყალთაბანდები, რა თქმა უნდა, კარგი დასალევის სანაცვლოდ, (აბა, სოფელში სმა და მოსაწევი იყო ერთადერთი გასართობი...) და ღელეში მოწყობილი ნაგავსაყრელი დაასუფთავა. ფირნიშიც თვითონ გააკეთა, ზედ წარწერით: ღელეში ნაგვის დაყრა აკრძალულია, ჯარიმა – მთელი ნაგვის მიტანა მისას, ვინც ამას იზამს!

სალამოს ბიჭს „ნაგვის ნადი“ სტუმრობდა, პალატიდან სიცილ-ხარხარი ისმოდა, შუაღმოსავლეთ კარდალაში ლობიო თუხთუხებდა, ღვინოც იყო, არაყიც და მისი მისაჭმელიც. ძამა, იმფერი სუფრა გაგვიხაზირე, ან თუ რამეში დაგჭირდით, შენს გვერდში გვიგულეო, – მოკლედ, სოფლის ბიჭების გული მოგებულ იყო...

ამასობაში კალანდაც მოახლოვდა. მართამ დანაპირები შეასრულა და გიორგის ისეთი სუფრა გაუწყო, ჩიტის რძეც რომ არ აკლდა. ალიოშას ბადიშისთვის დედისერთა ინდაურსაც წააგდებინა თავი და იმისგან გაკეთებული საცივი მართვა ბიჭს. კამფეტებით და ჩურჩხელებით განწყობილი ჩიჩილაკი ამაყად იდგა ბუხრის თავზე. გიორგიმ ლამის ნახევარი სოფელი დაპატიჟა. თორმეტის ნახევარზე უკვე სუფრას უსხდნენ სუფრის ნაირნაირობებით გაკვირვებული სტუმრები. თბილისში ომის, უშუქობა-უტრანსპორტობის დროს, გიორგი ერთი წელი ბებია-ბაბუის პატრონაჟის ქვეშ, ამ სოფლის სკოლაში გაამწესეს მშობლებმა. ჰოდა, იმ ერთ წელიწადს ერთ კლასში ნაჯდომი თანაკლასელებიც მოიწვია სტუმრად. კლასელებმა სოფლის ბოშა კატიეც მოიყვანეს, ბანტიანი გიტარით. კატიე სოფელში კალთამადლიანად ითვლებოდა, ორჯერ გათხოვილ-გამოთხოვილი. ეშხიანი კი იყო, ხორბლისფერი კანით, წელამდე დაყრილი შავი თმით და საოცრად მეტყველი თვლებით. ისე უკრავდა და მღეროდა, „კალთის“ გარეშეც აუდუღებდა კაცს სისხლს... დადგა თუ არა თორმეტი საათი, ატყდა სოფელში ერთი ბათქაბუთი. გიორგიმაც დააგრილა ტახტში წლობით გაყურებული ბაბუის თოფი. პალატის კარზე კაკუნი გაისმა. გიორგიმ კარი გააღო და მეკვლედ მამიდა მართა იდგა, ცალ ხელში დიდი ხის გობით და ზედ დაწყობილი ტკბილეულით. მეორე ხელში ერთი კაკალი ეჭირა. შემოდგა მარჯვენა ფეხი და ისე დალოცა გიორგი, სტუმრები და ახალი წელი, მსგავსი, რომ არასდროს სმენოდა ბიჭს... მერე გიორგის მისცა ის ერთი კაკალი და უთხრა: – გატეხე, ნენა, აგი კაკალი, წმინდა ბასილას წესია ამფერი, თუ შით სავსე გული დაგხვდა, აგი წელიწადი

ხვავიან-ბარაქიანი გექნება, თუ არა და, მე ნუ დამემდურები, ჩურჩხუტ კაკალს მოსთხოვე პასუხიო! გატეხა გიორგიმ კაკალი და ისეთი სავსე გული აღმოჩნდა, როგორი გულითაც მართა იყო მეკვლედ მოსული... – მეც მაქვს შენთვის საჩუქარიო – უთხრა გიორგიმ. ერთადერთი რამ, რაც მოპარვას გადაურჩა ძველ „შიფონერკაში“ ყუთში ჩაწყობილი ლამაზი ქოშები იყო, არავინ რომ არ იცის, როდის და ვისთვის ნაყიდი... – არიქა, მართა, გონია ბედი გეხსნება ამ წელიწადს, ამალამ კიბეზე ქოშის დატოვება არ დაგავინწყდესო, – ციგნობდნენ ბიჭები. – ჩემი პრინცი უკვე კაი ხნის გასულია გაღმა, მარილზე და საიქიოში თუ გამატანენ ამ ქოშებს, ეგება, იქ მიპოვნოსო, – არ დარჩა ბიჭებს ვალში მართაც....

ბაბუის გაშენებული უძველესი ჯიშის ვაზით ამაყობდა გიორგი. ჭურში კარგა ხნის დაბრძნებული საკმიელა დიდხანს ელოდა დამლევს და დამლოცავს. ბუხრის თავიდან ბაბუის სათვალე იმზირებოდა დაორთქლილი... ახალი წლის ღამეს საკმიელას სვამდნენ ბიჭები... ცალყურა გედევანამ დაიჟინა, აგერ ნახეთ ამელამ თუ არ მოთოვოსო, ბიჭები დასცინოდნენ, ორი წელია თოვლი თვალთ არ გვინახავს და მგონი, გედევანაც დათვრა და მისი მეტეო სადგურიცო... მართა მაგიდის გარშემო დაკუსკუსებდა, – დოუტოვეთ რაცხა ამ ბიჭს, თქვე ამოუპირავებო, აგი ყოლისფერი გათავებაზე კი არ არისო! ბიჭები სიცილით კვდებოდნენ, – ან, რაღა გიჭირს, გიო, მართამ შენი მამიდობაც იკისრაო. იყო კეთილი სურვილები, ახალი წლის მილოცვა და წინაპართა ხსოვნის სადღეგრძელოები, რამდენიმე ჭიქის მერე, გულაჩვილებული გედევანა იცრემლებოდა, არ მთავრდებოდა ჭიქით ხელში ერთმანეთისთვის სიყვარულის მტკიცება და გურული მაკვარანცხი იუმორი. ამასობაში ბანტიან გიტარაზე დაუკრა კატიემ და ისეთი „ჩაწაღე“ შეუშვა ჯანში, ოთხმოცი წლის მართასაც კი აუტოკდა მხრები.

ორღობეში უკვე კარგად შეზარხოშებული კრიმანჭული მობანცალებდა. შორიდანვე მოესმა ბოშური სიმღერის ხმა. ჰაიტი, რას ქვია გურიში კალანდას ბოშური სიმღერით ხვდე-

ბოდნენო...შემოაღო ჭიშკარი, პალატში შემოაბიჯა, ჯერ დაილოცა, მერე ბიჭებს შორის ჩაჯდა, აბა ამყევითო თქვა და ისეთი კრიმანჭული შემოსძახა, კიდევ ერთხელ რომ ცხონდა დიდი მოკრიმანჭულის, ალექსანდრე ბოლქვაძის სული...

გარეთ ხვავრიელად თოვდა, კი ახდა გედევანას წინასწარმეტყველება, აგერ თქვენ და აგერ მე, თუ ამელამ არ მოთოვოსო... უცებ გადაათეთრა თოვლმა არე-მარე. ზამთარმა თოვლით მიულოცა სოფელს ახალი წელი. ყველა სახლის საკვამურიდან თეთრი კვამლი მიდიოდა ცისკენ და თან მიჰქონდა სახლის პატრონთა საახლწლო სურვილები...

კალანდა თენდებოდა გურიის ერთ პატარა სოფელში...

## იამანი



ამაჩემი წყალთან ვიპოვე. ტკიპები ყინვას ვერ უძლებენ და მალევე იხოცებიან, მაგრამ წელს თბილი ზამთარი დადგა: ბალახმა ხელმეორედ ამოიყარა და ალაგ-ალაგ ყვავილებიც ჩანს. იები არ დამინახავს – გაზაფხული ჯერ შორსაა.

მთელ ტანზე ესხდნენ, ერთი-ორი სიკვდილს უკვე მიმხვდარიყო და სხვაგან გადაცოცებას ცდილობდა. უცნაურია, სუნი არ მომსვლია, არადა, შორიასლო ზოგ ხეზე სისხლი იყო შემხმარი, ეტყობოდა, ბევრი ეწვალა ამათ მოსაშორებლად.

წინა ზამთარიც ასეთი იყო, მე კი მიხაროდა: სულ არ მიჭირდა. რას ვიფიქრებდი...

“თანახმა ვარ დაბეჭდვზე, ნიკიც იყოს და გვარსახელიც (ნიკი ჯიმი გვარი სახელი ყაზაიშვილი გიორგი)

მოთხრობა ცხენირმე-ბზე დავწერე, ერთ ინგლისურენოვან სტატიას ვეწერა, რომ ტკიპების გამო ილუპებიან, რადგან ბოლო წლებში, გლობალური დათბობის გამო, თბილი ზამთრებია და ტკიპებს ყინვა აღარ ხოცავს. ენერგოეფექტურობას მთლად პირდაპირაც არ უკავშირდება, მაგრამ ვფიქრობ, ძალიან შორი თემაა არაა”

ამ წყალთან ადრე ხშირად მოვყავდი, მაგრამ მე მარტოს მიყვარდა მოსვლა: მდინარეში ქაჯი ცხოვრობდა და სხვებისა ეშინოდა, ჩემი - არა. ქვაზე ამოძვრებოდა და მელაპარაკებოდა, თან თევზებს კენჭებს ესროდა და როცა ფრთხელობდნენ, სიცილით იგუდებოდა. წლების შესახებაც მისგან ვისწავლე.

– უსუფ, – წამოიწყებდა, – იცოდე, წელი ორია: ძველი და ახალი. ზამთრის ყველაზე გრძელი ღამით ცა კრიალდება და ეშმაკი, ერთი ყიჟინითა და ბუკისცემით, ზედ სირბილს მოჰყვება. ჰოდა, რაც მიწის ზურგზე ჭინკა, მაცილი და მიწრიელია, ცის ქვეშ გამოდის და ეშმაკს ბანს აძლევს, ძველი წელი მობეზრებითა და ცდილობენ, გააგდონ. ამ დროს, არსაიდან, ახალი წელი გამოდის და ფრუტუნს იწყებს: ქვეყანაზე ორივე ერთად ვერ დაეტივა.

ასეთ ამბავზე ახლა მე ვიწყებდი ფრუტუნს, მაგრამ მამშვიდებდა:

– რას იზამ, უსუფ, ძველი წელი ცოდოა, მაგრამ ასეა სწორი. ახალი აუცილებლად მოუსპობს დღეებს, მაგრამ თავის დროზე ძველმაც ასე ქნა: წლებმა დანდობა არ იციან. ჰოდა, შემდეგ გრძელ ღამემდე ყველაფერი –

უცებ, ლაპარაკს ტყის შრიალი აწყვეტინებდა და მაშინვე წყალში იმალებოდა: თუ ქარი იყო, მალევე ამოყოფდა თავს, მაგრამ ხანდახან მამაჩემი გამოდიოდა ხეებიდან. მშვიდად მოვიდოდა და შემომხედავდა – დაბრუნების დრო იყო.

უკან წამოსვლისას, წყლიდან ხელი გამოჩნდებოდა ხოლმე და კენჭს გამოისროდა – ასე მემშვიდობებოდა. სულ ერთხელ, კენჭი მამაჩემს მოხვდა. არ ვიცი, შემთხვევით მოუვიდა თუ იეშმაკა, მაგრამ მამაჩემი არ გაბრაზებულა, ჩაიფრუტუნა და თავი გადააქნია. მამაჩემი ძლიერი იყო, ვუყურებდი და არ მეშინოდა – ვიცოდი, კიდეც ბევრ ზამთარს გადაიტანდა. უნდა გადაეტანა კიდეც...

ახლა უკან მოვდივარ, მამაჩემი მიდგას თვალწინ და ძველი წლები მეცოდება. წლებმა დანდობა არ იციან. ასეა სწორი, მაგრამ ამ წელმა იქნებ ახლის მოსვლამდე ვერც გაატანოს.

## მზის სხივები



დრავინ იცოდა, რა მოუვიდა სოსოს. ერთ დღეს, უთენია, ნახეს ეზოში, გარაჟების უკან ხის ძირში ჩაძინებული და მის მერე გიჟად შერცხეს. არც მანამდე სვამდა. არც იმ დღის შემდეგ უნახავს ვინმეს ნასვამი, არც მოწევა დაუნყია, ვერც სისუფთავს დაუნუნებდით, მაგრამ სოსო ის სოსო აღარ იყო.

ათასი ჭორი გავრცელდა. ზოგი ამბობდა, შეყვარებულმა მიატოვა და ცხოვრებაზე გული აუცრუვდაო, ზოგი – სამსახურიდან გამოაგდეს და ვერ გაუძლო მისმა ნერვებმაო, ზოგი იმასაც ამბობდა, ეგ ყოველთვის ეგეთი იყო, უბრალოდ აქამდე არ ამჟღავნებდაო. მხოლოდ ღმერთმა უნყოდა სიმართლე. სოსო არავის ერჩოდა, ხმას არასდროს აიმაღლებდა. მანამდეც არ უყვარდა დიდად ლაპარაკი, მაგრამ იმ დღის შემდეგ სულ დამუწვდა. ათასში ერთხელ თუ ჩაილაპარაკებდა რაღაცას, ისიც ისე ჩუმად, არავის ესმოდა. მხოლოდ ატირდებოდა ხოლმე მოულოდნელად და ეზოდან უჩინარდებოდა. კაცებმა ერთი-

„ნიკი „ნათია“ უნდა მხოლოდ ნიკის გამოქვეყნება. წარდგინება: მანამ ამ ვებგვერთზე სამყაროში არსებობ, გახსოვდეს, რომ შენ ვალდებული ხარ ერთხელ მაინც ვინმესთვის მზესავით იკაშკაშო.“

ანად გარიყეს, ქალებმა ბავშვებს აუკრძალეს მასთან თამაში. ერთადერთი ცამეტიოდე წლის დაჩი იყო, სულ მის გვერდით რომ ტრიალებდა. დაჩისაც აუკრძალა დედამ სოსოსთან ურთიერთობა, გაფრთხილა, ერიდეთ, მაგრამ დაჩი მინც მისკენ გარბოდა. ზოგჯერ ქალაქში გადახვეულ ყველსა და პურს ჩაიტანდა ხოლმე სახლიდან, სოსოს გვერდით მიუჯდებოდა და ორივე მაღიანად ილუკმებოდა. მერე დაჩიც გაქრა. აღარც ეზოში ჩადიოდა, აღარც სკოლისკენ მიმავალისთვის მოუკრავს თვალი მისთვის სოსოს, მისი ველოსიპედიც ხელუხლებელი იდგა გარაჟში. დანალვლიანდა სოსო და ტირილს მოუხშირა.

ზამთარი ახლოვდებოდა. წვიმიანი და ცივი დღეები მიეწყო ერთმანეთს. გამოდარებას პირი არა და არ უჩანდა. გადასაგორებელ დღეებს ისიც დაემატა, რომ კორპუსში ელექტროენერგიის პრობლემა შეიქმნა. წარა-მარა ფუჭდებოდა გაყვანილობები. ხან სად აუვიდოდა შავი ბოლი სადენებს და ხან სად. მეზობლები შეიკრიბნენ, იმსჯელეს, იკამათეს და გადაწყვიტეს, მზის ბატარეები დაეყენებინათ კორპუსის სახურავზე. ამასობაში ძველ გაყვანილობებსაც გამოცვლიდნენ. ყველა საბუთი მოაწესრიგეს. ის ხელოსანიც იპოვეს, ვინც ბატარეებს დაამონტაჟებდა. მხოლოდ ბატარეების მოტანა და სახურავზე ატანა რჩებოდა მოსაგვარებელი. ეს დღეც მალე დადგა.

დილას ადრინად შემოგორდა ეზოში მზის ბატარეებით დატვირთული სატვირთო მანქანა. ადრინადვე დაიწყო ფუს-ფუსი კაცებმა. საქმეს ჭიანჭველებით შეესივნენ და ფრთხილად აწვდიდნენ ერთმანეთს დიდ მინებს. სოსო იქვე იდგა და ყურადღებით აკვირდებოდა საქმოსნებს.

– „იცოც, ეს რა არის, სოსო?“ – ზურგზე ბატარეამოკიდებულმა გასძახა მერაბმა. სოსომ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

– „ეს არის შუქი ნათურაში.“ – თითის აწევით განუმარტა ლადომ. სიგარეტს ბოლო ნაფაზი მოქაჩა, ღრმად ჩაისუნთქა ნიკოტინიანი ბოლი, მერე ბოლომდე დაცალა ფილტვები, სიგარეტის ნამწვი ძირს დააგდო, ფეხით მოსრისა და გააგრ-

ძელა, „– ეს არის ეპოქის მიღწევა. იქნება მზე?– იქნება შუქი! მთავარია, კარგი ამინდები იყოს და ჩვენს ბედს აწი ძალლი არ დაჰყევს. ყველას გვიჭირს ახლა. ხელფასი გადასახადებისთვის არ გვეყოფნის. ცოტა შელავათი გვექნება. ორი თეთრი თუ ჯიბეში დაგვრჩება, ცოტას ამოვისუნთქებთ, თორემ ცოლ-შვილი შიმშილით მომიკვდება თუ სიცოცხით, რა აზრი აქვს?“

– „ამასობაში სადენებს გამოვცვლით და ავშენდებით. მანამდე გამომართვი და ფრთხილად დადე,“ – ლადოს მანქანის საბარგულიდან ჩამოსძახა კიდეც ერთმა მეზობელმა და შეფუთული ბატარეა მიანოდა.

– „დღეს ყველა გადმოვზიდოთ და ხვალ დილიდან სახურავზე ატანა დავიწყოთ. ისევ აფეთქებულია ის დასაწვავი ჩამრთველი. თუ ხვალამდე ვერ გავაკეთეთ, ზურგზემოკიდებულს მოგვინევს სახურავზე ატანა, ლიფტი არ გვექნება.“

უკმაყოფილოდ აყაყანდნენ კაცები. მზის ბატარეები სულაც არ იყო ისეთი მსუბუქი, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა. თან ცხრა სართულის ავლის შემდეგ თითოეული მათგანი ტყვიასავით დამძიმდებოდა. იცოდნენ, წელში განწყდებოდნენ, მაგრამ სხვა გზა არ იყო. საქმე ბოლომდე უნდა მიეყვანათ...

– „სოსო, რას ელოდები, მოგვეხმარე“, – ქოშინებდა მერაბი.

– „დაჩის ელოდება, სხვას ვის დაელოდება?“ – მანქანის საბარგულიდან გაისმა ხმა.

– „ეჰ, დაჩი, დაჩი“, – სინანულით ჩაილაპარაკა ლადომ.

– „ისევ ისეა, ხო?“ – მანქანის საბარგულიდან ხმამ ახლა თავი გამოყო და ისე იკითხა.

– „კი, ისევ ისეა“.

სოსო თვალებგაფართოებული შეჰყურებდა მოსაუბრეებს და ვერაფრით მიმხვდარიყო, რაზე საუბრობდნენ, რა სჭირდა დაჩის? გულმა ბაგაბუგი დაუწყო. თითქოს გარეთ გამოხტომას ლამობდა. მერაბმა შეამჩნია, რომ სოსომ არ იცოდა დაჩის ამბავი. აღარც დამალვას ჰქონდა აზრი. სოსოსთან ახლოს დადგა და გაბზარული ხმით დაიწყო მოყოლა:

– „დაჩი კომაშია“, – კარგა ხნის პაუზის შემდეგ თავს ძალა

დაატანა და ამოთქვა, – „ერთ დღეს სკოლიდან დაბრუნებული სავარძელში ჩაჯდა, თვალები დახუჭა და მის მერე ასეა. ვერავინ ვერაფერი გაუგო. საავადმყოფოში დაწვენაზე უარი თქვეს ექიმებმა, აზრი არ აქვს, ტყულად დახარჯავთ ზედმეტსო. წევს ახლა ოთახში, თავთან აპარატი უწრიპინებს. გული დამეწვა, რომ ვნახე. ისეთი დაპატარავებულია. ახლა მას ყველაზე მეტად სჭირდება მზის ენერგია. აპარატი რომ გამოირთოს, დაღუპულია მისი საქმე. გუშინნინ ბიჭებმა ბენზინი ვიყიდეთ დვიჟოკისთვის. ეგეც სადამდე ირახრახებს. ძველია. როდის გაფუჭდება, კაცმა არ იცის. პირველი დაჩის ჩავუყვანთ დენს. ცოდოა. დედამისიც ცოდოა. ვახ!...“

სოსო სწრაფი ნაბიჯით გაშორდა იქაურობას. მხრები უცახცახებდა. ყველა მიხვდა, რომ ისევ ტიროდა.

კაცები შებინდებისას მორჩნენ სატვირთოდან ბატარეების ჩამოტვირთვას. ერთ ადგილას დააწყვეს და საგულდაგუოდ შეფუთეს. დანარჩენი საქმე მეორე დღისთვის გადადეს და დაღლილები დაიშალნენ.

იმ ღამეს საშინელი ქარი ამოვარდა. მთელი ღამე ალენავდა ტოტებს ქარი ცამდე აზიდულ ალვებს. დაქროდა და თან ღმუოდა.

დილას ისეთი მზე გამოვიდა და ისე მიწყნარდა ყველაფერი, თითქოს ღამით არაფერი მომხდარიყო. ნოემბრის თვისთვის უჩვეულოდ დათბა. ხეებზე დაჟღერტულობდნენ სითბოთი გახარებული ჩიტები.

მხოლოდ ბატარეები არსად ჩანდა. გაბრაზებული კაცები გარეთ გარეთ გამოეფინნენ. ყველგან ეძებეს, მაგრამ ვერსად მიაგნეს. ქურდის ძებნა დაიწყეს. ყველა გამოვიტხეს. არავინ არაფერი იცოდა. ბოლოს პოლიცია გამოიძახეს. მათ თავიდან გამოიკითხეს მომხდარი და ყველაფერი დაწვრილებით ჩაინერეს. სოსოც მოიკითხეს, ეგებ რამე იცოდესო, მაგრამ მასაც ვერ მიაგნეს. ისევ დაიწყეს მითქმა-მოთქმა, ეგ ისეთი გიჟია, არაა გამორიცხული, მოეპარაო. ზოგი იცავდა, გიჟი კია, მაგრამ ქურდობას არ იკადრებდაო. მოულოდნელად

კორპუსიდან ქალის კივილის ხმა გაისმა. ყველანი იქით გაიქცნენ. თავპირისმტვრევით აიარეს ექვსი სართული. ქალის ხმა დაჩის სახლიდან გამოდიოდა. კარი სწრაფად შეაღეს და აქოშინებულები შეცვივდნენ.

დაჩი სანოლზე წამომჯდარიყო და გამხდარი ხელებით დედას ეხუტებოდა. ნანახით გაოცებული მეზობლები თვალებდაჭყეტილები უყურებდნენ დედა-შვილს.

– „სოსო სად არის?“ – დასუსტებული ხმით იკითხა დაჩიმ. მეზობლებმა ერთმანეთს გადახედეს და მხრები აიჩეჩეს. „მე-სიზმრა, რომ ჩემთან იყო მოსული, მზის სხივების კონა მომიტანა და წავიდა. საშინლად მცოდნა და გავთბი. მერე მითხრა მაღლა მივდივარო და გაქრა. ახლა სად არის? ჩემს სანახავად არ მოვიდა? დაუძახეთ რა, მოვიდეს.“

– „ჩქარა სახურავზე!“ – მეზობელთაგან ერთ-ერთმა წამოიყვრა და კარისკენ გაიქცა. სხვებიც გაიქცნენ.

მეზობლებს სოსო სახურავზე დახვდათ. მზის ბატარეებიც იქ იყო, ყველა მრთელი და დაუზიანებელი. უკვე დამონტაჟებული და სადენებით შეერთებული.

– „სოსო!“ – ჯერ შორიდან დაუძახეს. მერე ახლოსაც მივიდნენ. სოსო კი ერთ კუთხეში მიმჯდარიყო და ცას გაჰყურებდა, – „სოსო, გაგვეცი ხმა, შენ ამოიტანე ბატარეები?“ – მაგრამ სოსო ხმას არ იღებდა. თვალსაც არ ახამხამებდა.

მეზობლებს შორის პოლიციელები გამოჩნდნენ. უკან დაიწითო, ჩუმად, მაგრამ მკაცრი ტონით მოსთხოვეს იქ მდგომებს. ერთ-ერთი პოლიციელი სოსოსკენ დაიხარა. ხელი რომ შეახო, მიხვდა რაშიც იყო საქმე. ჯერ თავის კოლეგას გახედა, შემდეგ შეკრებილებს. თავი გაიქნია და ადგა.

– „ვაიმე, სოსო!“ – სასონარკვეთილი ხმით დაიხრიალა მერაბმა. ქალები ატირდნენ. სოსო კი იყურებოდა ცაში და ილიმოდა.

ამ ამბის შემდეგ დიდი დრო გავიდა. ათასმა წყალმა ჩაიარა, ათასჯერ გამოანათა მზემ. ყველა თავის ცხოვრების გზას დაადგა. დაჩი გამოჯანმრთელდა, გაიზარდა და დაწვრილშვილდა.

სოსო არასოდეს დავინწყებია, მაგრამ მაინც ვერ ეგუებოდა, სოსო რომ დაუმშვიდობებლად გაემგზავრა სხვა ქვეყანაში. ვერავინ გაბედა სიმართლის თქმა. ზოგს სულ გადაავიწყდა ბზის ბატარეები, სოსოც და დაჩიც. ზოგი დიდხანს ინახავდა სევდიან მოგონებად. მხოლოდ მზის ბატარეების ხელოსანი იხსენებდა ხოლმე ხშირად, დამონტაჟება დამიკვეთეს, ფული წინასწარ გადამიხადეს და მერე აღარ დამიძახესო.

## მარი სადღობელაშვილი



### ბნელი 90-იანი წლები

**ბ**ნელი 90-იანი წლები იდგა. ბნელმა 90-იანმა წლებმა ჩემი ბავშვობა მოიპარა. სიტყვა „ბნელი“ თუ თქვენთვის მხოლოდ ზედსართავი სახელია, ჩემთვის უშუქობა, უწყლობა, უგზოობა, უთბილსახლობაა და ჰო, კიდევ, მოპარული ბავშვობაა..

უყველაფრობა ყველაზე მწარედ ზამთარში მისუსხავდა ძვალ-რბილს. სიმართლე გითხრათ, ზამთარი თავისი სიამტკბილობიანი ნუგბარ-გოზინაყ-ჩურჩხელა-ტკბილეულიანად და ზიზილო-პიპილო ნაძვისხიან-ჩიჩილაკიანად არასდროს ყოფილა ჩემი სანუკვარი წელიწადის დრო.

ზამთრის მორთულ-მოკაზმულ საახალწლო-საშობაო დღეებს ჩემი სახლის ზღურბლზე გადმოსვლა არასდროს მოსვლია თავში. უფრო მეტიც, სათოფეზე არ ეკარებოდა ჩემს ღვთისა და კაცისაგან მიტოვებულ უბანს, რომელიც მხოლოდ

მარი სადღობელაშვილი.  
ძირითადად იმას ვწერ, რაც  
მალეღვებს, მახარებს, მტკი-  
ვა... „ბნელი 90-იანი წლები“  
ჩემი ვერმონელებული, მძიმე  
ბავშვობის შელამაზებული და  
ლიტერატურული ვარიანტია...

მაშინ გაგრძნობინებდა, ცოცხალი რომ იყო და სუნთქვა იცოდა, როცა საათობითა და ზოგჯერ დღეობით გამორთული ელექტროენერგიის მოულოდნელად ჩართვის შემდეგ ჩაგუბებული და გულზემომსკდარი ბგერები მენყერივით მოასკდებოდა ფანჯრებს და მინებს ააზანზარებდა:

– ურრრრრრრრ

– ოუუუუუუ

ხშირად მიფიქრია ამ დროს იმ ადამიანის კეთილ თითებზე, რომელსაც, ჩემი წარმოდგენით, მორიგეობისას ჩაეძინა და უნებურად წაედო ელექტროენერგიის ჩამრთველს. ასეთ ნათელ წუთებში ვნატრობდი, არ გამოლვიძებოდა ან მის კეთილ თითებს ღილაკის გადართვა დავინწყებოდა.

ბნელი 90-იანი წლები იდგა.

ბნელი უძახე და სინამდვილეში, ამ პირქუში დღეებისა და ღამეების სევდას თან დავატარებ უკუზრუნელი სენივით და სანთლის მბუხუტავ შუქზე ან ჭრაქიდან ნავთისუნიათ სინათლის აკომპანიმენტზე აციმციმებულ-აპარპატებული, წიგნიდან აჰაჰა საცეკვაოდ ამომხტარი ონავარი ასოებისა და მთვარით განათებული და თოვლით აქათქათებული ღამეების სევდა მჭამს და მინელებს.

ჩემს სიცოცხისგან კედლებდალურჯებულ სახლში შეშის ღუმელი მხოლოდ დილა-საღამოს იხსენებდა თავის ძირითად მოვალეობას – ტკაცუნს. ჯერ ცივი სინკარები იწყებდა ღვობას და მერე ჩემი სითბოსგადაჩვეული ძვლები. დილა და საღამო დღის განმავლობაში ყველაზე ნათელი დრო იყო გრძელ, ზამთარპირდაღებულ დღეებში.

შაბათ-კვირაობით, ვამზადებდი ჯვალს ტომრებს და ქალაქგარეთ, ლიანდაგების გასწვრივ დავეძებდი მაყვლის გამომხმარ ბუჩქებს და ხეებიდან ჩამოყრილ ხმელ ტოტებს. ზურგით ვეზიდებოდი ჯვალს ტომრისოდენა, რამდენიმე თბილი დილა-საღამოს სამყოფ ფიჩხს.

თქვენთვის ალბათ ლაპლანდიელი თოვლის ბაბუას არსებობა უფრო დამაჯერებლად ჟღერს, ვიდრე იმის დაჯერება, თუ როგორ უნდა მოენდომებინა ვიღაც ჭკუამრუდეს დასადნობად

განწირული თოვლის თოვლის ბაბუას აცანცვლა.

ბნელი 90-იანი წლები იდგა.

დიდხანს ვაგუნდავე ძლივსმოთოვილი თოვლი, ერთი შედარეთ მომცრო გუნდა მასზე მოზრდილ გუნდაზე შემოვასკუბე და ჩემი ნაგროვები ფიჩხის დამწვარი ნახშირით ორი თვალთ გამოვახედე. სახლში ამოვირბინე, რომ ფანჯრიდან ჩემი ქმნილების ცქერით დავმტკბარიყავი, თუმცა ნათოვლიბაბუარ ადგილზე სიცარიელე დამხვდა და ფეხებით აზელილი ჭუჭყიანი მიწა...

ბნელი 90-იანი წლები იდგა...

## სიალა აბულაძე



ნია

მე გახლავართ ციალა აბულაძე, პროფესიით ისტორიის მასწავლებელი სოფელი წოდორეთიდან. წლების მანძილზე ვასწავლიდი სოფელისში. ახლა გასული ვარ პენსიაზე. ვცხოვრობ ტყის პირას. მაქვს პატარა მეურნეობა. ზოგჯერ ჩამოვდივარ ქალაქში. ძალიან მიყვარს ლიტერატურა. მაქვს საკუთარი ბიბლიოთეკა. ვცხოვრობ წყნარად და მშვიდად.

ერთ ულრან ტყეში, პატარა მედელოზე ლამაზ სახლში ცხოვრობდა მშვენიერი პატარა გოგონა, სახელად ნია. რატომ ულრან ტყეში და არა ქალაქში ან სოფელში, იკითხავთ თქვენ. იმიტომ, რომ ნიას პაპა იყო ტყის მეთვალყურე, ანუ მცველი. ტყესთან, რომ ახლოს ყოფილიყო ახლო სოფლიდან იგი საცხოვრებლად ულრან ტყეში გადმოვიდა და ლამაზი კოხტა სახლიც აიშენა. სახლი ორსართულიანი იყო, პირველი სართული ქვითკირისა იყო, მეორე კი ხისა. სეზონის მიხედვით ხან პირველზე, ხან კი მეორე სართულზე ცხოვრობდნენ.

ნია სოფლის სკოლაში სწავლობდა ცოტა შორი კი იყო, მაგრამ სიარული უყვარდა, თან ჭკვიანი, ეზოს ძაღლი დააც-

ილებდა და არ ეძნელებოდა სკოლაში სიარული. სკოლაში ნია ყველას უყვარდა, რადგან კარგად სწავლობდა.

ნიას ბებო, მართა იმ მხარეში განთქმული მკურნალი იყო. მან კარგად იცოდა და იცნობდა ყველა სამკურნალო მცენარეს. ნიასაც ასწავლიდა მათ გამოცნობას. ზაფხულობით აგროვებდნენ, აშრობდნენ, უკეთებდნენ წარწერებს და ინახავდნენ. მთელი სოფელი პატივს სცემდა მკურნალების ოჯახს იმიტომ, რომ სანამ ქალაქიდან სამედიცინო დახმარება მოაღწევდა მანამდე ზოგჯერ ავადმყოფი განკურნებული ხვდებოდათ.

ნიას ოცნება იყო, ეპოვა ისეთი მცენარე, ადამიანებს სიცოცხლეს, რომ გაახანგრძლივებდა. განსაკუთრებით ეცოდებოდა ბებო. უნდოდა მას დიდხანს ეცოცხლა და ჯანმრთელად ყოფილიყო.

ნიას ყველა სულდგმული უყვარდა. პატარა გოგონას, კეთილი გული ჰქონდა, ცხოველებიც კი ეცოდებოდა. ამ სიკეთისათვის ხალხმა ფერია ნია შეარქვა.

ნიაც ფიქრობდა გაემართლებინა ხალხის სიყვარული. ტკბილი სიტყვა არ ენანებოდა არავისთვის. სახე მუდამ უღიმოდა, ეცვა ლამაზად და მოხდენილად. მართლა ფერიას ჰგავდა...

ნიას დედა და მამა ქალაქში ცხოვრობდა, ნია კი სოფელში ბებოსთან, იმიტომ, რომ ექიმმა ურჩიათ ბავშვს სოფლის ჰაერი მოუხდებო, რადგან სუსტი ჯანმრთელობა ჰქონდა.

შობის დღესასწაული ახლოვდებოდა ბებია და შვილიშვილი ემზადებოდა, აწკრიალებდნენ და ალამაზებდნენ სახლის. ეზოში ბევრი ხეები იყო, ნაძვები, ფიჭვები, ფოთლოვანი ხეები, რომლებიც უკვე გაშიშვლებულები იდგნენ. წინვოვან მცენარეებზე, გრილიანდები და ფერადი ბურთები დაკიდეს, ფოთლოვანი გაშიშვლებული ტოტები კი ხელუხლებელი დატოვეს. გულმოდგინედ დაგვილ ეზოში უამრავ გადაჭრილი მორი იდგა, რომელთაც ბალის სკამებად იყენებდნენ.

ახლა აღვწეროთ როგორი იყო სახლის ინტერიერი, სადაც ნია, პაპასთან და ბებოსთან ერთად ცხოვრობდა. სახლს სოფლელებმა შეარქვეს სახელი: „ცარგვალი“ იმიტომ, რომ

მისასველი გზები სამი მხრიდან მოუდიოდა, თითქოს მრგვალ სივრცეს ქმნიდა. შუაში კი სახლი იდგა.

სახლი სავსე იყო იშვიათი მწვანე მინიატურული მცენარეებით. ზოგი ნიას მიერ ტყიდან იყო მოტანილი, ზოგიც კიდეც მოჰქონდათ ნათესავენ და მეგობრებს, რომლებიც ხშირად სტუმრობდნენ „ცარგვალს“.

ნიას შეგროვებული ჰქონდა სუკულენტების კოლექცია, მათგან პატარა კომპოზიციებს ქმნიდა, თიხის ქოთნებში და მეგობრებს ურიგებდა საჩუქრად. სკოლაშიც კიდეც მშვენიერი მწვანე კუთხე გააკეთა მეგობრების დახმარებით და რომელსაც „ოაზისი“ უწოდეს.

ზაფხულში მშვენიერი იყო „ცარგვალში“ ცხოვრება აი ზამთარში კი რა მოგახსენოთ.

ნიას მამა ფიზიკოსი იყო, ხელმარჯვეც იყო და გამოსავალიც მალე მოძებნა. თავის მეგობრის დახმარებით, რომელიც აგრეთვე ხელმარჯვე იყო. სახურავზე, რომელიც ძალიან დამრეცი იყო დაამონტაჟეს, მოწყობილობა, რომელიც მარაგდებოდა წყლით, რომელიც მილების საშუალებით წრეზე ბრუნავდა და მზის სხივებით თბებოდა. მხოლოდ ამ საშუალებით ზედასართული თბებოდა, ისიც მზიან ამინდში. რაც შეეხება ქვედა სართულს აქ მამა-პაპური ბუხარი ათბობდა. შეშა მუდამ ჰქონდათ, რომელსაც ტყეში აგროვებდნენ, რალა თქმა უნდა გამხმარს და საჩეხში, კოხტად დაჩეხილს და დაწყობის ინახავდნენ ზამთრისთვის.

და აი შობისწინა დღეც დადგა. ღრუბლიანი ცივი დღე იყო. ციდან ფიფქებმა დაიწყეს ცვენა, მაგრამ მიწამდე ვერ აღწევდნენ ჰაერშივე ქრებოდნენ. პაპამ ბლომად შეშა შემოზიდა სახლში, ბუხარი დაგუგუნა. სასიამოვნო სითბო დატრიალდა სახლში. ყველა ოთახი გათბა. ნიამ ნაძვის ხის მორთვა დაიწყო. მართალია ნაძვისხეები ბლომად იყო ირგვლივ, პაპას არასოდეს არ დაუდგამს სახლში, იმიტომ რომ ცოცხალ არსებად მიაჩნდა ისინი.

ნიამ გამოიტანა ხელოვნური ნაძვის ხე, სწრაფად ააწყო

და სათამაშოებით მორთო. ბებომ სუფრა გაშალა ნაირნაირი უგბარი გამოიტანა. ნიაც ეხმარებოდა.

მართა ბებო, განთქმული იყო თავისი საფირმო კერძებით და ტკბილეულით. განსაკუთრებით აქებდნენ, მაჟალო ვაშლის ღვეხელს. თვითონ ამბობდა, ეს ტკბილეული კი არ არის, წამალიც არის, სიცოცხლეს ახანგრძლივებსო. მაჟალო ვაშლებს გათლიდა და ყუნწებიანად ხარშავდა ტკბილ სიროფში, რომელსაც მაჟალო ვაშლის წვენისგან მხადდებოდა. ღვეხელი ფხვიერი ცომისგან ცხვებოდა და სიროფში მოხარშული მაჟალო ვაშლებით ირთვებოდა.

ამ სამზადისში დრო სწრაფად გავიდა. ღამეც ეწვიათ, მაგრამ ქალაქელები არა და არ ჩანდნენ. ნიას დაღლილობამაც დარია ხელი თავის ოთახში სანოლზე წამოწოლილს მიეძინა. გამთენიისას გამოეღვიძა, ირგვლივ სინყნარე სუფევდა. მტრედისფრად ეშვებოდა მაღალი ფანჯრებიდან სინათლე. ნია ფანჯარას ეცა, ეზოში გაიხედა და გულში სასიამოვნო სითბო ჩაელვარა. ეზოში სპორტული ლამაზი მსუბუქი მანქანა იდგა. „ჩამოსულან“ – გაიფიქრა და სასტუმრო ოთახში გავარდა. ბუხარი ჯერ კიდეც ენთო, სასიამოვნოდ თბილოდა. მაშინვე ნაძვის ხესთან მიიბრინა, რომლის ძირშიც უამრავი საჩუქარი ენყო, ლამაზად შეფუთული. ამ დროს დედა და მამაც შემოვიდნენ, ნიას გადაეხვივნენ და საჩუქრების გახსნაში მიეშველნენ. რალათქმა უნდა, ნიამაც გადასცა მათ, თავისი ხელით ნაკეთები საჩუქრები, რომლებიც ბუნებრივი მასალებისგან იყო დამზადებული. მერე სუფრას მიუხსდნენ. მერე ბებო და პაპაც შემოურთდნენ. ყველა ბედნიერი იყო.

## სარჩევი

|                                                                            |    |
|----------------------------------------------------------------------------|----|
| წინასიტყვაობა .....                                                        | 3  |
| <b>გივი კვირიკაშვილი</b>                                                   |    |
| ოცდახუთსა დეკემბერსა .....                                                 | 6  |
| <b>ნათია გოგიჩაიშვილი</b>                                                  |    |
| საშობაო ზღაპარი .....                                                      | 15 |
| <b>ლალი მიქაია</b>                                                         |    |
| ბედნიერი შობა .....                                                        | 22 |
| <b>ტინნე (თინა დალაქიშვილი)</b>                                            |    |
| მეეზოვე .....                                                              | 25 |
| <b>ლევან ლორია</b>                                                         |    |
| თოვლის ბაბუა და ღვთიური ნაწილაკი ანუ იცინის ის,<br>ვინც ბოლოს იცინის ..... | 30 |
| <b>მზია თვალაბეიშვილი</b>                                                  |    |
| ვარსკვლავბიჭუნა და ვარსკვლავგოგონა .....                                   | 43 |
| <b>თამარ ბოლქვაძე</b>                                                      |    |
| სხვა კრიმანჭული .....                                                      | 49 |
| <b>ჯიმი</b>                                                                |    |
| იამანი .....                                                               | 57 |
| <b>ნათია ჩხაიძე</b>                                                        |    |
| მზის სხივები .....                                                         | 59 |
| <b>მარი სადღობელაშვილი</b>                                                 |    |
| ბნელი 90-იანი წლები .....                                                  | 65 |
| <b>ციალა აბულაძე</b>                                                       |    |
| ნია .....                                                                  | 68 |

